გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 15
(11 881)

1 – 3 მარტი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიახლეთა გზით...

სეოკ-ის პირველ აღმასკომის სხდომას, მას შემდეგ, რაც გასული წლის ბოლოს, 17 დეკემბერს, ამ ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო სესია გაიმართა, ყველა დიდი ინტერესით მოელოდა. ეს ინტერესი განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით. ვაკანტური ადგილების შევსებით საბოლოოდ უნდა დაზუსტებულიყო აღმასკომის შემადგენლობა, შემუშავებულიყო და დამტკიცებულიყო ახალი სტრუქტურა და, რაც ყველაზე მთავარია, განსასაზღვრი იყო სეოკ-ის შემდგომი საქმიანობის პოლიტიკა და სტრატეგია.

გუშინ გამართულ სხდომაზე ყველა კითხვას გაეცა პასუხი. მეტიც, გაცხადდა ყველასთვის ესოდენ სასიამოვნო ახალი ამბავი, რომელიც სეოკ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის **ბადრი პატარკაციშვილის** რეზიდენციის უნიკალურ საკონფერენციო დარბაზში დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე ასე აკიაფდა: „ჩვენი მიზანია: 2014 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები საქართველოში!“ გენიალურია და გასაკვირიც არაფერია. ბევრს ალბათ ახსოვს, საბჭოთა წყობილების ბოლო წლებში, ერთხელ უკვე იყო წამოყენებული ბაკურიან-თბილისგუდაური ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კონკურენტ კანდიდატთა შორის. 1989 წელს სპეციალური კომისიაც იყო ჩამოსული შესაძლებლობების შესასწავლად.

„ჩვენი რესურსები და ქვეყნის სასურველი იმიჯი დღეს გვაძლევს საშუალებას დავაყენოთ დღის წესრიგში ეს საკითხი . გარანტირებული არაფერია, მაგრამ გაშენდება ბაზები, გაჩნდება მაღალი დონის ინფრასტრუქტურა, შეიქმნება უფრო რეალური საფუძველი ისევ წამოვაყენოთ ჩვენი ქვეყანა 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად“ — თქვა **ბადრი პატარკაციშვილმა.**

თავის ახალ წევრებად აღმასკომმა დაამტკიცა **დავით ნამგალაური, მერაბ ჟორდანია, გიორგი უდესიანი, ლევან აზვლედიანი, ლელა აფციაური, ბესიკ ლიპარტელიანი და თამაზ მდინარაძე.**

უდავოდ საინტერესო სიახლედ უნდა ჩაითვალოს, რომ ამიერიდან ჩვენს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში იმუშავებს „საქართველოში ოლიმპიური პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმვის საბჭო, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტის წარდგინებით სათავეში ჩაუდგება ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, წევრები იქნებიან თავად **ბადრი პატარკაციშვილი, ბიძინა ბარათაშვილი, გიორგი გაბაშვილი, ომარ გოგიაშვილი, გოჩა ძასოხოვი, რამაზ გოგლიძე, ვაჟა შუბლაძე,** აგრეთვე კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი, რომლის შესარჩევად სეოკ-ის პრეზიდენტმა ვადა აღმასკომის მომავალ სხდომამდე ითხოვა. ამავე ვადებში მის მიერვე შეირჩევა კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც სპორტის ზამთრის სახეობების კურატორობა დაევალება. აღმასკომი ერთსულოვანი იყო აპარატში აქტიურად მომუშავე ვიცე-პრეზიდენტად **ლერი ხაბელოვის** დამტკიცებისას. მისი ძირითადი ფუნქცია იქნება სპორტულ ფედერაციებთან მუშაობა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების კოორდინაცია. ერთსულოვნება გამოამჟღავნა სეოკ-ის გენერალურ მდივნად ამ პოსტზე გამოცდილი მუშაკის **ემზარ ზენაიშვილის** კანდიდატურის კენჭისყრის დროსაც. ბადრი პატარკაციშვილს საქებარი სიტყვები არ დაუშურებია ზენაიშვილის მიმართ. „გენერალური მდივნის პოსტზე ემზარ ზენაიშვილისადმი კვლავ ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ჩემს გადაწყვეტილებას დაემთხვა მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციიდან მიღებული შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ასოციაციის აღმასკომის სხდომამ ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის ემზარ ზენაიშვილი დააჯილდოვა ღირსების მედლით“ — ეს სასიხარულო ამბავიც სეოკ-ის პრეზიდენტმა გააცნო შეკრებილთ.



ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

განსახილველ საკითხთა შორის იყო კიდევ ერთი სიახლე — სეოკთან შეიქმნა აღმასკომის ბიურო, რომელიც ოპერატიულად გადაჭრის საკითხებს. ბიუროში შევიდნენ **ბადრი პატარკაციშვილი, ლერი ხაბელოვი, გოგი თოფაძე, ემზარ ზენაიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი და თამაზ იმნაიშვილი,** რომლებსაც მომავალში დაემატება ზემოხსენებული ორი ვიცე-პრეზიდენტი მათი შერჩევა — დამტკიცების შემდეგ.

აღმასკომის სდომაზე ვრცელი მოხსენებით „მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში (2005-2008 წწ) საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობის მთავარი ამოცანების შესახებ“ გამოვიდა **ბადრი პატარკაციშვილი.** მოხსენების მთავარი ლაიტმოტივი იყო: · პეკინში უკეთ გამოსვლა, ვიდრე ეს იყო ათენში; ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ არ დავუშვათ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიგრაცია, აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიურ ცხოვრებაში, მონაწილეობა სოკ-ის მიზნობრივ პროგრამებში, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადა, საქართველოში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადება...

აღმასკომის სხდომაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს **გოგი თოფაძემ, ომარ გოგიაშვილმა, დავით ნამგალაურმა, ზურაბ კახაბრიშვილმა, ელგუჯა ბერიშვილმა, თამაზ მდინარაძემ, დილარ ხაბულიანმა, ნინო სალუქვაძემ, მამუკა ხაზარაძემ, ლუკა (ელდარ) კურტანიძემ, ბექან ხურციძემ.**

ყველა საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სხდომის მუშაობა შეაჯამა ბადრი პატარკაციშვილმა.

„ლელო“ – „გუმათე“.

# ზურაბ ზვიადაური-ხათუნა ჭინჭარაული – ახალი ცხოვრების პირველი ნაბიჯები

**ზურაბ ზვიადაურს** მთელი საქართველო ეთაყვანება და რა გასაკვირია თუ მისი და **ხათუნა ჭინჭარაულის** შეუღლება-გაბედნიერება ასევე სიხარულით აღიქვა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. საქართველოში შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ოჯახი, რაც ოფიციალურად დაფიქსირდა გასულ კვირას. მერე კი რესტორან „არაგვში“ ახლობლებმა და ოლიმპიური ჩემპიონის თაყვანისმცემლებმა ხალხმრავალ სუფრასთან დალოცეს ახალდაქორწინებულები.



ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

# სიკეთე, რომელიც სითბოსავით სასიამოვნოა

ერთ გონიერ მასწავლებელს პირველკლასელებისთვის მიუმართავს შეკითხვით თუ რა არის სიკეთე. ვის რა უთქვამს, ვის რა. ერთ პატარას კი ასე უპასუხნია: „სიკეთე თბილის მსგავსი რაღაც არისო“. დიდებულია, უკეთესად შეიძლება ბრძენსაც ვერ ეთქვა.

რაც დრო გადის, თბილისის მერიის სპორტის სამსახური, მისი უფროსის **გიორგი უდესიანის** ხელმძღვანელობით, დედაქალაქს სპორტული ცხოვრების არა მხოლოდ ოდინდელ ტრადიციებს უბრუნებს, არამედ · ავსებს და აღრმავებს კიდეც. გიორგი უდესიანმა, ყველაფერთან ერთად, მისეული ხელწერის სიკეთის კეთების ინსტიტუტიც დაამკვიდრა. ხშირად გაიგებთ აშა თუ იმ დაწესებულებაში, განსაკუთრებით იქ, სადაც ბავშვურ ნებივრობას და მზრუნველობას მოკლებული არიან მოზარდები, უდესიანიც და მისი სამსახურის ის სითბო მიაქვთ, რასაც იმ ერთმა პირველკლასელმა სიკეთე უწოდა. ქველმოქმედებაა ყველაზე მადლიანი სიკეთე და... სითბოც.



უდესიანისეულ ქველმოქმედებას განსხვავებული იერი და ეშხი დაჰყვება ყველგან. საჩუქრების დარიგება ყველას შეუძლია, მაგრამ სულ სხვაა, როცა ბავშვებს მათთვის განკუთვნილ ნივთებს, ნუგბარს, სუვენირებს, ჩასაცმელს, სპორტულ ინვენტარს მიიღებენ ლეგენდად ქცეული ადამიანებისგან.

ასეთ საქველმოქმედო ღონისძიებებზე ბევრგან ვყოფილვართ. გასული შაბათი სამუდამოდ დარჩება თბილისის №1 ბავშვთა სახლის 70-მდე აღსაზრდელის მეხსიერებაში. დიდი ხნის ისტორია აქვს ამ დაწესებულებას — 80 წელს მოითვლის. დილმის მასივში კი სამი ათეული წლის წინათ დაიდო ბინა. კარგი ადგილია, იქვეა სკოლაც.

*იხ. მე-2 გვ.*

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**გასულ კვირას გაიმართა კალათბურთში ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.**

თსუ — „ბურჯი“ — 97:67 (29:15, 13:18, 32:18, 28:16).

სტუ — „ავიამშენი“ — 111:94 (82:24, 32:20, 29:28, 18:22).

სსუ — „თუჯი“ — 70:81 (10:26, 23:23, 12:16, 25:16).

„მაქაბი“ — „დინამო“ — 42:73 (9:30, 10:17, 12:18, 11:8).

სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა

| | | თ | მ | წ | სხვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | დინამო | 21 | 17 | 4 | 477 | 38 |
| 2. | სტუ | 20 | 17 | 3 | 372 | 37 |
| 3. | ავიამშენი | 20 | 16 | 4 | 370 | 36 |
| 4. | თსუ | 21 | 12 | 9 | 196 | 32 |
| 5. | თუჯი | 21 | 11 | 10 | 113 | 32 |
| 6. | მაქაბი | 20 | 4 | 16 | -427 | 24 |
| 7. | ბურჯი | 19 | 3 | 16 | -319 | 22 |
| 8. | სსუ | 20 | 1 | 19 | -662 | 21 |



**სურათზე: სტუ – ავიამშენის შეხვედრის მომენტი (ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა).**

# მცხეთა – მთიანეთის გუბერნატორი თაოსნობით გამოდის...

ნიჩბოსნობა

ყოველთვის, როცა მცხეთაში რაიმე სპორტულ ღონისძიებაზე ჩავდივარ, ქართული სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, მცხეთა — მთიანეთის სპორტის სამმართველოს უფროსს **ვიტალი გრძელიშვილს** უწინარესად ვეკითხები, როგორია მხარდაჭერა სამხარეო ხელმძღვანელობისგან, ანუ ქვეყნის პრეზიდენტის რწმუნებულისგან. ვიტალი ალალი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული მუშაკია. ადრე ყოფილა შემთხვევა, საყვედური გამოუთქამს, მაგრამ, როგორც მეგობარს დაუმატებია, ჩვენში დარჩესო, ე.ი. პრესაში ნუ გაამჟღავნებო გულისტკივილს. ახლაც, გასულ შაბათს, მცხეთაში, ნიჩბოსნობაში საქართველოს ზამთრის ღია პირად პირველობაზე სტუმრობისას, ვიტალის იგივე შეკითხვა გავუმეორე. სახეზე ღიმილმა გადაუარა, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მასპინძელმა სიამაყით მითხრა, აქ არის ჩვენი გუბერნატორი **გიორგი ხაჩიძე,** აგერ პარლამენტარ **ბექან ხურციძეს** ელაპარაკებაო.

ბექან ხურციძე ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია — კაცი, რომელიც ყმაწვილობიდანაა ნაზიარები სპორტის სიკეთეს, კერძოდ, ნიჩბოსნობას.

ვიტალის შეეძლო, თუ სათქმელი არაფერი ჰქონდა, ამჯერად ჩემი, როგორც ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობა გუბერნატორის ასპარეზობაზე დასწრების ფაქტის ხაზგასმით დაეკმაყოფილებინა, მაგრამ, რაც მითხრა, უპირველესად, სასიამოვნო მოულოდნელობად მომეჩვენა: „ჩვენს გუბერნატორს, ამერიკელთა მსგავსად, უნივერსიტეტებს შორის სანიჩბოსნო რეგატის ტრადიციის დამკვიდრება სურსო“.

ასეთ დროს კაცს უნდა ჩაეძიო. საბოლოოდ კი აი, რა აზრი გამოვიტანეთ: მცხეთა — მთიანეთის გუბერნატორი მოუწოდებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს, სტუდენტთა შორის დანერგონ ნიჩბოსნობა, თავად მზადაა ერთი რვაადგილიანი ნავი შეიძინოს, ბაზალეთის ტბა და მცხეთა აქციოს საუნივერსიტეტო რეგატებისა და საერთაშორისო ასპარეზობების სარბიელად. კარგად გვენიშნა ეს თაოსნობა, ვინძლო ქვეყნის სხვა გუბერნატორებმაც თავისი მხარის ტრადიციებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გაუწიონ კეთილი სამსახური, საერთოდ, ქართულ სპორტს. ქვეყნის პრეზიდენტიც ხომ აქეთკენ მოუწოდებს ყველას.

ბექან ხურციძეს მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად, როგორც ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს,

*იხ. მე-2 გვ.*

# მცხეთა – მთიანეთის გუბერნატორი თაოსნობით გამოდის

პირველი გვერდიდან

რომ არა საქმის სიყვარული, ქართული სპორტის წინაშე პატრიოტული პასუხისმგებლობა, ვერავინ ვერასოდეს აიძულებდა, შეჭიდებოდა რთულ საქმეს. თავად აიძულა თავისი თავი და რაკი ხელი დანგრეულის აღდგენას მოჰკიდა, ისიც კარგად იცოდა, რომ ვნება შენებაშია... ჰოდა, მიდი-მოდის ეს კაცი ნიჩბოსნობის, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, სპორტის ამ სახეობის ყოფილ კერებს შორის და ზრუნავს ტრადიციის აღდგენაზე. ვერ გეტყვით, ვინ როგორ იყენებს თავის პარლამენტარობას, მაგრამ ამ კაცს, მრჩება შთაბეჭდილება, სხვა არა უნდა რა, ოღონდ მის ხელში კვლავ აღორძინდეს ნიჩბოსნობა.

— თქვენთან როგორაა საქმე? ვეკითხები რუსთავის სანიჩბოსნო ბაზის ვეტერან მუშაკს — ტოგი წივწივაძეს. მგონი გვეშველებაო, თქვა და ბექან ხურციძისკენ გადაიტანა მზერა. ამას წინათ, პირველად, ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილიც გამოჩენილა ბაზაზე — ჩვენი მხარდამჭერის იმედი გქონდესო უთქვამს.

სიტყვამ მოიტანა: სომხეთში თურმე ნიჩბოსნობა „პრიორიტეტულ" სახეობად იქცა. საუკეთესო ბაზები, ინვენტარი, ტრანსპორტი. სხვისი ნაამბობი არ გეგონოთ — მცხეთაში ზემოხსენებულ პირველობაზე სომხეთის ნაკრებიც ჩამოვიდა — საფირმო ნავმზიდით, ყველაზე თანამედროვე ინვენტარით, ამუნაციით, შალითაში ჩასმული ნავებით. მოკლედ, თავმოსაწონად, ეროვნული ღირსებით.

— სომეხ კოლეგებს ჩვენგან განსხვავებით, არც შეკრებები აკლიათ, სხვათა შორის, ევროპის საუკეთესო ბაზებს სტუმრობენ და იქ სასწავლო-საწვრთნო შეკრებებისას ამხანაგურ შეხვედრებსაც ატარებენ — გვეუბნება ვიტალი გრძელიშვილი. თურმე ჩვენებს სულ ბოლო მომენტში გადაუწყვეტიათ სომხების მოწვევა, დაურეკიათ ტელეფონით და ... მეორე დილით უკვე მცხეთაში ყოფილან. აი, რას ნიშნავს კარგად აწყობილი საქმე.

პირველები შეჯიბრებაში ჩაებნენ 2000 მეტრზე ბაიდარებით 1982-1986 წლებში დაბადებულნი. თავიდანვე ვიტყვით, რომ ვინაიდან ეს იყო სეზონის პირველი ასპარეზობა, სტარტი სპორტსმენებმა ე.წ. ჰანდიკაპით მიიღეს, ანუ წუთგამოშვებით ებმებოდნენ მონაწილენი „რბოლაში". რატომ ჰანდიკაპი? სპეციალისტებმა განმარტეს, რომ სეზონის წინ, ასე უფრო მკაფიოდ ჩანს, ვინ როგორაა მომზადებული, როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად, მოასპარეზეთა შორის იყვნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და სომხეთის წარმომადგენლები.

ბაიდარებით 2000 მეტრიან დისტანციაზე (1982-1986) წლიანებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ქუთაისელ ზაზა ჯიშკარიანს, მეორე იყო არამ ანდრიასიანი სომხეთიდან, მესამე — მცხეთელი ოლეგ ოლეინიკი. იმავე დისტანციაზე ოღონდ 1987-1989 წლიანებში 10 მონაწილეს შორის რჩეული სამეული ასე გამოიყურება: 1. სარქის მირიჯანიანი (სომხეთი), 2. გიორგი მანაგაძე (ქუთაისი), 3. არმენ მალხასიანი (სომხეთი); 1990-1991 წლიანებში კი საპატიო ადგილები ასე განაწილდა: 1. თორნიკე ოდიშელიძე (თბილისი), 2. რობერტ კვატაშიძე, 3. ვიქტორ მანაგაძე (ორივე — ქუთაისი).

სულ ორად ორი მონაწილე იყო კანოეში. 1987-1989 წლიანებში შედეგით მცხეთელმა ვასილ პესტოვმა აჯობა ფოთელ გიგა ფაჩულიას; 1990-1992 წლიანებში კი შვიდი ჭაბუკი და ერთი რუსთაველი გოგონა მარინა დიმიტრიევა სცდიდა ძალას. უნდა ითქვას, რომ ამ გოგონამ ერთ-ორ ჭაბუკსაც აჯობა, თუმცა, პრიზიორი ვერ გახდა. სამ საუკეთესოს შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ნიკოლოზ კუცია (რუსთავი), 2. შალვა ხიზანიშვილი (მცხეთა), 3. შოთა არეშიძე (თბილისი).

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ტექნიკურ შედეგებს „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**თ. თომაშვილი**

# ზილბერშტეინები მამის და ბიძის კვალს გაჰყვნენ...

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რომ სპორტსკოლების რეამინაცია უპირველესად დაფინანსებით დაიწყო, „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან. იციან შედეგიც — ტარდება შეჯიბრებები. ერთი ასეთი ასპარეზობა მოსწავლე მძლეოსანთა ზამთრის პირად-გუნდური ღია პირველობა ორ ასაკობრივ (1988-1989; 1990-1994 წწ) ჯგუფში ბოლო 8 წლის მანძილზე პირველად ჩატარდა. შეჯიბრების ჩატარება ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულმა სკოლამ (დირ. რეზო ოდიშარია) ითავა. თბილისელთა გარდა დიდუბის მანეჟში გამართულ ამ ასპარეზობაში ქვეყნის 30 ქალაქისა და რაიონის 400-მდე მოზარდი ორ ჯგუფად მონაწილეობდა. ბევრი მათგანისთვის ასეთი რანგის ასპარეზობა პირველი იყო. შეჯიბრებას ზემოხსენებული სამინისტროდან მინისტრის მოადგილე **თემურ სამადაშვილი** და ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **თამაზ მდინარაძე** ესწრებოდნენ.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს. I ჯგუფი. 1988-1989 წლიანები. გოგონები. 60 მ.** — მარიკა ინაშვილი (თბ) — 7,8 წ; **200 მ** — ინაშვილი — 26,1; **400 მ** — ლია ქოთუაშვილი (ბორჯ) — 1,06,02; **800 მ** — ქანა გაბრიელაშვილი (ახალც.), — 2,37,4; **1500 მ** — ნინო თათრულაიძე (ახმ) — 5,11,0; **3000 მ** — თათრულაიძე — 11,13,2; **სიგრძე** — ევგენია ჩერვონიკოვა (ფოთი) — 4,96, **სამხტომი** — ჩერვონიკოვა — 10,95; **სიმაღლე** — თეონა ჩებიჩაშვილი (ქარელი) — 1,25; **ბირთვი** — ნათია ივანიძე (ასპინძა) — 7,52. ჭაბუკები. **60 მ** — ლაშა პატარიძე (ფოთი) — 7,1; **200 მ** — გიორგი ანთელიძე (თბ) — 24,3; **400 მ** — ნიკა ივანოვი (ქუთ) — 57,1; **3000 მ.** მერაბ ქინიძე (ვარ) — 9,32,2; **1500 მ** — ქინიძე — 4,28,0; **სიგრძე** — მერაბ აფხაზავა (ფოთი); **სამხტომი** — დავით რურუა (ზუგდ) — 12,90; **ბირთვი** — მირან. მელიქიძე (ასპ) — 12,70; **სიმაღლე** — ჯონი კობალაძე (ქარელი) — 1,50; **1990-1994 წლიანები. გოგონები. 60 მ.** — სოფო მაჭავარიანი — 1,35; **200 მ** — სოფო მანუკიანი — 26,9. (ორივე — თბ), **400 მ** — მანუკიანი — 1,01,8; **800 მ** — გაიანე უსტიანი (ახალ); **1500 მ** — თამარ გოგოლაძე (ბორჯ) — 5,03,05; **სიგრძე** — სოფო მაჭავარიანი — 5,14; **ბირთვი** — თამარ ჯაფარიძე — 10,20 (ორივე — თბ); **ბიჭები. 60 მ** — ლაშა კეკელიძე (თბ) — 7,4; **200 მ** — ანდრო ზილბერშტეინი (ახალ) — 24,2; 400 მ — ზილბერშტეინი — 54,2; 800 — ლუდვიგ ზილბერტშტეინი (ახალ) — 2,04,9; **1500 მ** — გიგლა ზილბერშტეინი (ახალ) — 4,26,2; **სიგრძე** — ნორიკ ოგანესიანი (თბ) — 57,70; **ბირთვი** — გიორგი ბედოშვილი (თბ) — 17,44; **სიმაღლე** — ზურაბ გოგოჭური (გარდ) — 1,60.


გიორგი ბედოშვილი

**მარიამ ძევხიშვილი**

# რჩეული...



გაგა გუგუნაშვილი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ჯერ მწვრთნელებმა თენგიზ მონასარიძემ და სეირან პოზოიანმა აღმოაჩინეს, მერე ოლეგ იმნაძემ შენიშნა ყმაწვილის ტალანტი და „ნორჩ დინამოელში" ნაკრებ გუნდში ჩარიცხა, უცხოეთში გაიყოლა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე „ნეპტუნი — 2004". გააზრებული და ტექნიკური თამაშით გაგამ გააოცა ტურნირის ორგანიზატორები და მაყურებლები. „საუკეთესო თავდამსხმლის" პრიზი, რომლის დაუფლება ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, სწორედ გაგას ხვდა წილად და შინ საგანგებო ჯილდოთი და დიპლომით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

# ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციამ** გვაცნობა, რომ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში 4 მარტს, 15 საათზე გაიმართება ამ ფედერაციის ყრილობა.

◆ **საქართველოს სროლის ფედერაციამ** ევროპის ჩემპიონატზე მიავლინა ეროვნული ნაკრები. გუნდში არიან ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, თამილა ასათიანი, დარიკო სულაკაური და სერგი ჩიტაიშვილი.

◆ **საქართველოს რაგბის კავშირის** ყრილობამ განიხილა მიმდინარე წლის ბიუჯეტი. ნავარაუდევია ირბი-დან 100 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღება, სახელმწიფო ბიუჯეტი 200 ათასი ლარია. „სპორტი ყველასათვის" და ბავშვთა სპორტი დაფინანსდება 41 ათასი ლარით, განვითარების პროგრამისთვის გამოიყოფა 64.500 ლარი, მწვრთნელთა, მსაჯთა და მენეჯერთა მომზადებისთვის — 62.500, რაგბის კავშირის აღჭურვისათვის — 33.600, ტურნირებისთვის — 86.923, ნაკრებისთვის — 559. 730, სამედიცინო მომსახურება — 10 ათასი, ოფისის ხარჯები — 71.505, საქართველოს ჩემპიონატი — 824.652 ლარი. ბიუჯეტი 423 ათასი ლარით დეფიციტურია და ეს თანხა მოსაძიებელია.

# სიკეთე, რომელიც სითბოსავით სასიამოვნოა

პირველი გვერდიდან

გასულ შაბათს ყველა მოსწავლე აღმზრდელებთან ერთად მზით გაჩახჩახებულ ეზოში იყო გამოფენილი. სტუმრებს ელოდნენ, რომელთა შორის იყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონები **ზურაბ ზვიადაური** და **გიორგი ასანიძე**, ვერცხლის მედალოსანი **ნესტორ ხერგიანი**, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში საქართველოდან **რაფაელ ჩიმიშკიანი**.

ვერცხლისწყალივით მოძრავი, ასაკით ყველაზე პატარა **ნიკა ჯავახიშვილი**, რომელიც ჯერ მხოლოდ 2 წლისა და ოთხი თვისაა, თითქოს მონატრებული ახლობელი დაინახაო, გაქანდა და უმალვე გიორგი ასანიძის ღონიერ მკლავებში აღმოჩნდა. იცი ეს ვინ არის? შეეკითხა ბავშვს **მარინე თარხნიშვილი**, რომელსაც მერიის სპორტის სამსახურში საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა-კოორდინაცია ევალება. გიორგი ასანიძეაო — თქვა პატარამ. ყველა გაოცდა. იქით 6 წლის **ჭაბუკა ჭაბუკიანი** ჩაკვროდა მკერდში ზურაბ ზვიადაურს. სითბო-ალერსს უზიარებდნენ მოზარდებს ნესტორ ხერგიანი და რაფაელ ჩიმიშკიანი. წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე **როზა ბერიკაშვილი**, თავად გიორგი უდესიანი და სხვები. სტუმრებმა საკუთარი ხელით ჩამოურიგეს მოზარდებს საჩუქრები. ზვიადაურმა, ასანიძემ და ხერგიანმა ბავშვებისთვის ყველაზე სასურველი ფეხბურთის ბურთები იქვე დაბერეს და გადასცეს თვალებგაბრწყინებულ ბავშვებს. გიორგი უდესიანმა იქვე გადაწყვიტა, რომ საბავშვო სახლის აღსაზრდელებს, ამ დაწესებულების გვერდით მდებარე ოლიმპიური მზადების ცენტრის საცურაო აუზზე კვირაში ორი დღე გამოეყოფათ ცურვის შესასწავლად.

ძნელია, სიკეთეს რაიმე საზომი მიუსადაგო. მაგრამ მისი შეფასება თუ მაინცდამაინც გინდა, უხვად გაცემა, ანუ სწორედ ისაა, რასაც თბილისის სპორტის სამსახური და მისი თავკაცი ამკვიდრებს.

**თ. თომაშვილი**


ფოტოები რობერტ ზაგოიანისა

# ღვაწლით და კაცობით დაფასებული...

ლევან ანდღულაძე – 70



იშვიათია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ წოდების მიმნიჭებელ კომისიას ისე ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოეხატოს პერსონისადმი, რომელსაც საპატიო წოდება ენიჭება, როგორც ეს ლევან ანდღულაძის ღვაწლის შეფასებისას მოხდა.

„საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდებაზე წარდგენილ ქართული სპორტის ვეტერანის, წარსულში ცნობილი მოკრივის ლევან ანდღულაძის საკითხის განხილვას საქართველოს სპორტის დეპარტამენტის წოდებათა მინიჭების კომისიამ სულ რაღაც რამდენიმე წამი მოანდომა, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

გუშინ ლევან ანდღულაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. კრივს დაუკავშირდა 14 წლის ასაკიდან. ეს უკვე არჩევანი იყო — ცხოვრების არჩევანი!

შესანიშნავი მწვრთნელის გიორგი ჯანაშიას ნიჭიერმა შეგირდმა მალე გაითქვა სახელი რინგზე. 1953 წელს საქართველოს ჩემპიონი პირველად გახდა, ეს წარმატება გაიმეორა მეორე, მესამე წელსაც ზედიზედ. „სპარტაკის" წევრი იყო და იმავე 1953-1954 წლებში ამ სპორტსაზოგადოების ჩემპიონის სახელიც მოიპოვა, 1955 წელს საქართველოს თასითაც დაიმშვენა ხელი.



1954 წელი. სოფია. სსრკ-ის მოკრივეთა ნაკრები. მარცხნიდან — ბორია სტეპანოვი, ვლადიმერ მეშერიაკოვი, ლევან ანდღულაძე, გენადი ბოიარმინოვი.

მერე კიდევ ორჯერ გაიმეორა ასეთი მიღწევა.

გასული საუკუნის 50 წლებში ბევრი კარგი მოკრივე ჰყავდა საქართველოს და ლევან ანდღულაძე ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი იყო რჩეულთა შორის. ფაქტობრივად, იგი ქართველ მოკრივეთა ახალი ტალღის ლიდერი გახდა. 1954 წელს საკავშირო არენაზეც გავიდა და ისეთ გრანდიოზულ ქვეყანაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, მეორე პრიზიორი გახდა. საკავშირო ნაკრებში ჩარიცხეს უმალვე. წინ იყო სოციალისტური ქვეყნების გუნდური შეჯიბრება. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ლევანიც ირიცხებოდა, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა პოლონელთა უძლიერესი გუნდის შემდეგ.

მოკრივეები შეხვედრების რაოდენობას, თავად იშვიათად ითვლიან, ამას სხვები აკეთებენ, რაც სპორტული ბიოგრაფიის ნაწილი ხდება, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. მოგება-წაგების შეფარდებით მსჯელობენ მოკრივის წარმატებულ თუ წარუმატებელ კარიერაზე. ლევან ანდღულაძეს რინგზე გამართული 108 ორთაბრძოლიდან მოგებული აქვს... 96! დიდებული შედეგია, რითაც ნებისმიერი მოკრივე იამაყებდა. თანაც, უამრავი პრიზი მიღია საუკეთესო ტექნიკისა და ტაქტიკისათვის.

სპორტსმენები ძირითადად სპორტის ერთი სახეობისთვის იხარჯებიან. ლევან ანდღულაძემ არენიდან წასვლის შემდეგ შრომითი საქმიანობა კრივის გარდა სასტენდო სროლასაც შეუთავსა და სპორტის ამ ორივე სახეობაში გახდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი.

ინსტრუქტორად და კრივის მწვრთნელად დაიწყო თავიდან მუშაობა მშობლიურ „სპარტაკში". როგორც ინსტრუქტორი 26 კომისრის და ლენინის რაიონების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას კურირებდა, ატარებდა უამრავ შეჯიბრებებს, მათ შორის სპარტაკიადებს, აწყობდა სპორტულ მოედნებს. პირველად მისი თაოსნობით გამოვიდნენ სტარტზე სპორტის 10 სახეობაში სავიაციო დარგის მუშაკები, პირველმა მან ჩაატარა საჭადრაკო პირველობა თბილისის იურისტთა შორის.

მერე იყო პროფსაბჭოს აპარატი, აქ უკვე პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებათა საქმიანობას კურირებდა. მისი წინადადების განხილვის შედეგად გაიხსნა ხუთი სპორტული სკოლა. მოკლედ, როგორც იტყვიან, საქმე თავზე საყრელად ჰქონდა და არც ერთხელ არ მოცარვია ხელი.

მოსკოვშიც იმუშავა. ეს ქალაქი მაშინ მსოფლიოს უნივერსიადისთვის ემზადებოდა და ქართველმა გამოცდილმა მუშაკმა არაერთი ორგანიზაციული საკითხის მოგვარებაში მიიღო მონაწილეობა და ისევ თბილისი — ამჯერად უკვე რესპუბლიკის სპორტკომიტეტში კრივსა და სასტენდო სროლაში დანიშნეს ე.წ. სახელმწიფო მწვრთნელად. გამოადგა მოსკოვში მუშაობა. იმდენს მიაღწია, საქართველოში კრივში გენერალ ლესელიძის ხსოვნის საკავშირო ტურნირის ჩატარება გამოითხოვა და შესაძლებლობა შეიქმნა ამ ასპარეზობაში გამარჯვებულებს და პრიზიორებს შეესრულებინათ სპორტის ოსტატის ნორმატივი. ლევან ანდღულაძის თაოსნობით კრივის პირველი ჯგუფი გაიხსნა გორში, რასაც შემდეგ მოჰყვა მაღალი კლასის ოსტატების, მათ შორის გიორგი კანდელაკის გამოჩენა რინგზე. მანვე დაამკვიდრა საქართველოს ეროვნული გმირის ქიქუ შარტავას ტურნირი.

ყველა კეთილ საქმეს რა ჩამოთვლის. დღევანდელი იუბილარი გამოირჩევა მაღალი ზნეობით, ყველასთან გულღიაა, კომუნიკაბელური, რაც ყოველთვის ეხმარებოდა შემოქმედებით საქმიანობაში. ლევანს უღრესად დიდ პატივს სცემს და აფასებს საქართველოს სპორტული სამყარო, ყველა, ვინც ამ გულისხმიერ ადამიანს ახლოს იცნობს.

ურყევ ჯანმრთელობას და ჩვეული მხნეობის დიდხანს, ძალიან დიდხანს შენარჩუნებას გისურვებთ, ბატონო ლევან!

**ც. ბაქრაძე**

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №16 (30) მარტი. 2005 წელი



## საქართველოს სასახელო სპორტსმენებო!

მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე და მონიჭებული – ვერცხლის კარატისტის და პირველი ოქროს კარატისტის ტიტულები! იმედი მაქვს, რომ ამ წოდებას ღირსეულად ატარებთ, ვაჟკაცურად, ნამდვილი ქართველი მებრძოლის სულისკვეთებით დაიცავთ. ეს დღე თქვენთვის და ქართული კარატესთვის ნამდვილად ისტორიულია. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტორი, რომ ჩვენ, სპორტის დეპარტამენტმა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ, ბატონი კახა ბასილიას თაოსნობით, მრავალი ერთობლივი სპორტული ღონისძიება დავგეგმეთ. ყოველივე ამან კი ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში ქართული კარატეს, სპორტის და, რა თქმა უნდა, მებრძოლი სულის აღორძინებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ წარმატებას და გისურვებთ შემდეგ, უფრო დიდ შედეგებს მსოფლიოს სარბიელზე.

*დავით ნამგალაური,*
*საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე*



## ოქროს და ვერცხლის კარატისტებო!

მოხარული ვარ, რომ საქართველოს ამდენი წარმატებული და მაღალი დონის კარატისტი ჰყავს! ეს ყველა ჩვენთაგანის გამარჯვებაა! გილოცავთ ამ ტიტულებს და შემდგომი იმედების გამართლებისა იყოს ევროპის, მსოფლიოსა და სხვადასხვა მაღალი დონის ჩემპიონატებზე. იმედი მაქვს, ამ ტიტულებს ღირსეულად ატარებთ თითოეული თქვენთაგანი.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ქართული კარატე ყოველწლიურად აუმჯობესებს შედეგებს და, წლევანდელი წელი უფრო ნაყოფიერი უნდა აღმოჩნდეს, რაშიც თითოეული თქვენთაგანის დიდი იმედი მაქვს.

*კახა ბასილია,*
*საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი*

# ქართული კარატეს 2004 წლის ვერცხლის ათეული

## საქართველოს პირველი ოქროს კარატისტი ჰყავს

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ნამგალაურმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის მიერ გამოვლენილი 2004 წლის საუკეთესო კარატისტთა ათეული ვერცხლის სახელობითი მედლებით დააჯილდოვა. ვინც ვერცხლის მედალს სამჯერ ზედიზედ მოიპოვებს, ის ოროს მედალს და საქართველოს ოქროს კარატისტის ტიტულს დაეუფლება. ქართული კარატეს ისორიაში პირველად ზედმიწევნით სამჯერ ვერცხლისმედალოსანი ლევან გორელაშვილ იყო და ტრადიციისამებრ ოქროს მედალიც (25 გრამიანი) დამსახურებულად გადასცა დავით ნამგალაურმა. „საქართველოს ოქროს კარატისტის ტიტული ჩემთვის უდიდესი მონაპოვარია! მე უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო წოდება მომანიჭეს და მზად ვარ დავიცვა იგი, ღირსეულად ვატარო




ქართული კარატეს სასახელოდ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბატონ დავით ნამგალაურს, სენსეი კახა ბასილიას და, რა თქმა უნდა, ჩემს სენსეის – ბესიკ ხუციშვილს“ – განაცხადა პირველმა ოქროს კარატისტმა ლევან გორელაშვილმა.

საუკეთესო კარატისტების დაჯილდოების შემდეგ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ დავით ნამგალაური სამურაის მოოქროვილი ხმლით დააჯილდოვა. ალბათ, ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ქართულ კარატეში ნამდვილი ოქროს ხანა მოვიდა.

აქვე, ქართული კარატეს სასახელოდ, ევროკავშირმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საუკეთესო ინსტრუქტორს ბესიკ ხუციშვილს თანადგომისა და თავისი თანამშრომლების საუკეთესოდ, მაღალპროფესიონალურ დონეზე მომზადებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის საზეიმო ვითარებაში 500 ევრო გადასცა.

მაშ ასე, ვინ იქნება შემდეგ წელს ვერცხლისა და ოქროს კარატისტი? ამის პროგნოზისაგან თავს შევიკავებთ.



საქართველოს საუკეთესო კარატისტთა დაჯილდოების გენერალური სპონსორია უმაღლესი ხარისხის ლუდი ზამბორკა

## საქართველოს საუკეთესო კარატისტთა ათეული

ლევან გორელაშვილი (შოტოკანი)
ალექსანდრე ჟამურაშვილი (შოტოკანი)
თემურ ხოხაშვილი (შოტოკანი)
დათო ტყებუჩავა (შოტოკანი)
ქეთინო გოგბერაშვილი (შოტოკანი)
ალეკო გოგოლაშვილი (შოტოკანი)
ლევან თუშიშვილი (ნეკო-რიუ)
ლევან პარჭიკანაშვილი (ნეკო-რიუ)
ავთო ქურციკიძე (გოჯუ-კაი)
ბაკურ შონია (გოჯუ-რიუ)
გიორგი მეხრიშვილი (კიოკუშინკაი)
ირაკლი ქამადაძე (შოტოკანი)

# საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის მიერ ქართული კარატეს განვითარებისათვის ჯილდოვდებიან

**ზურაბ ლექავა – საქართველოში კარატეს განვითარებისათვის დაჯილდოვდა ოქროს მედლით**
**თემურ ჯორჯაძე – საქართველოში კარატეს განვითარებისათვის**
**თემურ რამიშვილი – საქართველოში კარატეს განვითარებისათვის**

***ბესიკ ხუციშვილი*** – საქართველოში კარატეს განვითარებისათვის
***ნოდარ ხაჯიშვილი*** – აჭარაში კარატეს განვითარებისათვის
***ოთარ ბრძელიშვილი*** – ქართული კარატეს საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაციისათვის
***თამაზ ჯახაია*** – აფხაზეთში კარატეს განვითარებისათვის
***კახა მარკოზაშვილი*** – თელავში კარატეს განვითარებისათვის
***ბაჩუკი სულამანიძე*** – ფოთში კარატეს განვითარებისათვის
***ვაჟა უნგიაძე*** – ქუთაისში, იმერეთის რეგიონში კარატეს განვითარებისათვის
***ანზორ ჩუბინიძე*** – საქართველოში კიოკუშინკაი კარატე-დოს განვითარებისათვის
***რაფიკ დარბინიანი*** – სამცხე-ჯავახეთში კარატეს განვითარებისათვის
***გერონტი მამფორია*** – ჩხოროწყუში კარატეს განვითარებისათვის
***გელა პავლიაშვილი*** – გორში და ქართლში კარატეს განვითარებისათვის
***ვეფხია ხუცინაშვილი*** – გორში და ქართლში კარატეს განვითარებისათვის







## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ულოცავს მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის მიერ მინიჭებულ წოდებებს:

空手道

**ბესიკ ხუციშვილს VI დანი**

**ვეფხია ხუცინაშვილს V დანი**

**ირაკლი კოპაძე III დანი**

ნუგზარ ქიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

空手道

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

## იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის

# განცხადება

გაცნობებთ, რომ საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატის, დასავლეთის ზონის რეგიონალური პირველობის მატჩების ინსპექტორების ტესტირება ჩატარდება მიმდინარე წლის **4 მარტს, 10 საათზე** იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის ოფისში.

**მიმდინარე წლის 1 მარტამდე** ირფფ-ში მატჩების ინსპექტორებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ჯანმრთელობის ცნობა. ფორმა №286
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან (საფეხბურთო კლუბების თანამშრომლები ინსპექტორად არ დაიშვებიან).
3. ორი ფოტოსურათი 3X4-ზე.

საფეხბურთო მატჩის ინსპექტორს უნდა გააჩნდეს ფეხბურთში მუშაობის გამოცდილება.

პირები, რომლებიც დადგენილ ვადებში არ გაივლიან ტესტირებას, თამაშებზე არ დაიშვებიან.

იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია.

# საფეხბურთო ვიქტორინა

1. საიდან იყვნენ წარმოშობით წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ბორის პაიჭაძე და გიორგი ანთაძე?
   - ა) — ქუთაისიდან
   - ბ) — სოხუმიდან
   - გ) — ფოთიდან
2. ვინაა ფიფას მიერ 1995 წელს დასახელებული საუკეთესო ფეხბურთელად
   - ა) რონალდო
   - ბ) ჯორჯ ვეა
   - გ) რომარიო
3. რომელი ფეხბურთელი დასახელდა ჟურნალისტთა პირველი რეფერენდუმით საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად 1964 წელს
   - ა) სლავა მეტრეველი
   - ბ) მიხეილ მესხი
   - გ) ზაურ კალოევი
4. რომელ წელს არ შედიოდა ფეხბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?
   - ა) 1928 წელს
   - ბ) 1932 წელს
   - გ) 1936 წელს
5. რომელ წელს გახდა მესამედ ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი?
   - ა) 1962 წელს
   - ბ) 1966 წელს
   - გ) 1970 წელს

პასუხები: 1 – გ, 2 – ბ, 3 – ა, 4 – ბ, 5 – გ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
XX ტური
უმაღლესი ლიგა

# ქვათაცვენის ფონზე

ჩვენს სტადიონებზე სამწუხარო რეალობა უკეთესობისკენ არა და არ იცვლება. ეროვნული პირველობის მატჩებზე ტრიბუნები ან ცარიელია, ანდა, მატჩის სანახავად შეკრებილი გულშემატკივრები ქვების სროლით ერთობიან. ერთი ხანობა ვითარება თითქოს გამოსწორდა, დაძაბულობა განიმუხტა, არც ფეხბურთელი, არც მწვრთნელი, არც მსაჯი, არც ქომაგი არ გალანძღულა, მაგრამ ქუთაისის სტადიონზე მსაჯების მისამართით გაჩაღებულმა ქვების სროლამ, კვლავ შეგვახსენა ვაი-გულშემატკივრის პათოლოგია. ქუთაისელი მაყურებლების და მწვრთნელის აგრესია დამატებულ წუთებზე გაშვებულმა გოლმა გამოიწვია. თუმცა, წარუმატებელი სტარტის მიზეზი აჯობებდა ტორპედოელებს საკუთარ თავში დაეძებნა და არა მსაჯებში. „ტორპედოს" „ზესტაფონმა" ყოფილი ქუთაისელი გოლეადორის იონანიძის გატანილი ბურთით მოუგო.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაუფუჭა ხასიათი ვიტელმა მარცვალაძემ თბილისის დინამოელებს და გუნდსაც სამი ქულით შეეწია. „დინამო", წლეულს გამართული სამი მატჩიდან ორში დამარცხდა. როგორც ჩანს, მოწვეულ ფეხბურთელთა უმრავლესობას ჯერ კიდევ უჭირს ახალ გარემოსთან და კლუბთან შეგუება და პირველობის რიტმის ფეხის აყოლა. მეოცე ტური სკანდალით, გოლებით და ლიდერთა დამარცხებით გამოირჩა. მაგრამ, წაგების მიუხედავად, „დინამოც" და „ტორპედოც" მოწინავე პოზიციებს მყარად ინარჩუნებენ. ურყევადაა მესამე ადგილზე „თბილისი", რომელმაც ჩინებულ მატჩში, უშეღავათო ორთაბრძოლაში, ფოთელებს მინიმალური სხვაობით აჯობა. უფერული ფრე გამოაცხვეს ვაკეში რკინიგზელებმა და ბათუმის დინამოელებმა. შინაურ სტადიონზე ბოლნისში, ერთმა აუტსაიდერმა მეორეს უპირობოდ მოუგო. „სიონი" იოლად ლიგაში ადგილს არავის დაუთმობს, გორის „დილას" მდგომარეობა კი ყველაზე უიმედოა. გუნდი აშკარა აუტსაიდერია.

დღეს, უმაღლეს ლიგაში ოცდამეერთე ტურია. ლიდერთა დაპირისპირება ეროვნულ სტადიონზე შედგება. პირველი გუნდი მესამეს მიიღებს — „დინამო" „თბილისს" უმასპინძლებს. დედაქალაქური დერბი კარგი მატჩი უნდა იყოს. წლეულს, დაუმარცხებელი „ზესტაფონი" კი ამჯერად, „ლოკომოტივის" რელსებიდან გადაგდებას შეეცდება. კარნევალე ვიტელებს გორში ჩაიყვანს, „ტორპედო" ფოთში წავა, ბოლნისელები კი ბათუმს ესტუმრებიან. სანახავი და საქომაგო ოცდამეერთე ტურში საკმაოა. ვუქომაგოთ საყვარელ გუნდებს, ძვირფასო გულშემატკივრებო! ოღონდ, დავიცვათ საკუთარი და სხვისი ღირსება, სხვანაირად, ყველაფერს აზრი ეკარგება, ბურთსაც, გოლსაც, სტადიონსაც და, ფეხბურთს, საერთოდ.

მე-16 ეროვნულ ჩემპიონატში ოცი ტურის განმავლობაში 100 მატჩი ჩატარდა, 77 მატჩი ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით დასრულდა, ფრე ალინიშნა 23 მატჩში, გატანილია 263 გოლი (საშუალოდ 2,63 გოლი ერთ მატჩში), ას შეხვედრას დაესწრო, დაახლოებით 109 200 გულშემატკივარი (საშუალოდ, 1,092 ერთ მატჩში).

დასასრულ, ნებისმიერ საფეხბურთო ქვეყანაშია კლუბების და გულშემატკივართა დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ჩვენშიც იქნება და არის ასეთი რამ, მაგრამ რალა ცუდში, აგრესიასა და სისასტიკეში მსგავსება გამოგვდის უკეთ, იქნებ სჯობს ევროპას საფეხბურთო მეურნეობის მოწყობაში მივბაძოთ და დავემსგავსოთ?!

## უმაღლესი ლიგა, XX ტურის სტატისტიკა. 25 თებერვალი

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2500 მაყურებელი**

**ტორპედო – ზესტაფონი 0-1**

**ტორპედო:** მერლანი, გ. ახალაია, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, გამეზარდაშვილი, კოშკაძე, ნერგაძე, სოსელია (რ. ჯიქია 63), გ. მეგრელაძე, რაქვიაშვილი, ბაქრაძე.

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, იონანიძე, ჩიკვილაძე, ლონლაძე, ს. თოდუა, ზირაქიშვილი (ბ. გოცირიძე 79), ლ. შავგულიძე, კვერნაძე (ძამსაშვილი 58), განუგრავა (ბ. ნოზაძე 69), ქ. ჩხეტიანი, თურმანიძე.

**გოლი:** 0-1 იონანიძე (90+2).

**გააფრთხილეს:** გ. მეგრელაძე (22), ქ. ჩხეტიანი (32), ლონლაძე (75), ბ. ნოზაძე (84).

**მსაჯი:** ზ. ანიაშვილი (გორი)

**მცხეთა. სტადიონი „არმაზი". 800 მაყურებელი**

**ვიტჯორჯია – დინამო (თბ) 1-0**

**ვიტ ჯორჯია:** პურაძე, დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, გველესიანი, ფეიქრიშვილი (კვახაძე 39), დილმელაშვილი, რაზმაძე, ვ. გოჩაშვილი (ქუხილავა 88), ჩილვინაძე (სახოკია 46), მარცვალაძე.

**დინამო:** ზოიძე, დ. ოდიკაძე, სალუქვაძე, სილაგაძე, რომერო (ორბელაძე 85), კანდელაკი, შ. კაშია (გ. ნუგზარის ძე ჭელიძე 53), ბაბუნაშვილი (დვალი 63), ჯამარაული, კაკალაძე, მელქაძე.

**გააფრთხილეს:** სალუქვაძე (47), რაზმაძე (60), ვ. გოჩაშვილი (70)

**გოლი:** 1-0 მარცვალაძე (45)

**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი)

**თბილისი. სტადიონი. „ოლიმპი" 500 მაყურებელი**

**თბილისი – კოლხეთი 3-2**

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, აფციაური (დევდარიანი 80), გ. ფოფხაძე, ლოლაძე, ქემოკლიძე, ფიფია, მინ ჩოი (ბოჭოიძე 89), შ. ჯიქია (ბარაბაძე 67), მესხი, მიქიაშვილი, ს. იაშვილი.

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ჭითანავა, გოროზია, ჯ. შალამბერიძე, ცქიტიშვილი, ცქიფურიშვილი, მინდაძე, აკობია (ლებანიძე 46), გ. თოდუა, ქუტიძე, ლ. მელიქია (ვართაგავა 46, კუნჭულია 60), მიკუჩაძე.

**გოლები:** 1-0 ს. იაშვილი (17), 1-1 თოდუა (52), 2-1 ბარაბაძე (76). 3-1 ს. იაშვილი (86), 3-2 ლებანიძე (87).

**გააფრთხილეს:** მელიქია (15), გოროზია (39), იაშვილი (43), კუნჭულია (65).

**მსაჯი:** გ. ვადაჭკორია (თბილისი)

**თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი" 500 მაყურებელი**

**ლოკომოტივი – დინამო (ბთ) 1-1**

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, მანჩხავა, მახვილაძე, გ. ონიანი, გიგაური, ექონია, სიჭინავა, ლ. ქებაძე, კახელიშვილი (სეთურიძე 46), სირბილაძე, ბობოხიძე.

**დინამო:** სოლოლაშვილი, შ. ხუჯაძე, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, ლლონტი, მანწკავა, ი. მახარაძე, ცანავა (ბესო თედორაძე 63, ფირცხალაიშვილი 79), დარჩიძე, გონჩაროვი (ხომერიკი 60).

**გოლები:** 0-1 ლლონტი (45), 1-1 ქებაძე (55).

**გააფრთხილეს:** გალოგრე (23), ბესო თედორაძე (79), მანწკავა (87), გ. ონიანი (90).

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**ბოლნისი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 1500 მაყურებელი**

**სიონი – დილა 3-0**

**სიონი:** ბობლიაშვილი, თ. უგრეხელიძე, სიდამონიძე, ბ. შელია, ბაჯელიძე, ჩაჩუა (ნ. ლაბაძე 75), ალავიძე, ი. ვაშაკიძე, გ. შენგელია (ჩაგელიშვილი 76), ლ. ჩხაიძე, გ. დოლიძე (მიქელაძე 89).

**დილა:** თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, ქ. ხანიშვილი, ლ. გოჩაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ოლგესაშვილი (ჯობაძე 61), ა. ლაბაძე. (მასურაშვილი 71), სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია (თომაშვილი 80).

**გოლები:** 1-0 ჩაჩუა (53), 2-0 გ. შენგელია (74), 3-0 დოლიძე (88).

**გააფრთხილეს:** დ. ხანიშვილი (38), ხაჭაპურიძე (40), ვაშაკიძე (57), გ. ჩიტაია (78), ალავიძე (83).

39-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა გ. შენგელიამ.

**მსაჯი:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 20 | 13 | 3 | 4 | 41-20 | 42 |
| ტორპედო | 20 | 11 | 7 | 2 | 32-12 | 40 |
| თბილისი | 20 | 11 | 4 | 5 | 41-25 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 9 | 5 | 6 | 31-25 | 32 |
| ლოკომოტივი | 20 | 7 | 9 | 4 | 27-18 | 30 |
| ზესტაფონი | 20 | 8 | 1 | 11 | 18-36 | 25 |
| დინამო (ბთ) | 20 | 6 | 7 | 7 | 23-17 | 25 |
| კოლხეთი1913 | 20 | 5 | 5 | 10 | 19-27 | 20 |
| სიონი | 20 | 5 | 2 | 13 | 18-42 | 17 |
| დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13-41 | 9 |

**ბომბარდირები**

მელქაძე (დინამო თბ) — 13
მეგრელაძე (ტორპედო) — 12
ოდიკაძე (დინამო თბ) — 10
ბობოხიძე (ლოკომოტივი) — 10

# ანონსი

**უმაღლესი ლიგა. XXI ტური**
**დღეს, 1 მარტს**

ზესტაფონი — ლოკომოტივი
კოლხეთი — ტორპედო
დინამო (ბთ) — სიონი
დინამო (თბ) — თბილისი
დილა — ვიტ ჯორჯია

## ფიფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლობის გამოძახილი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ მერაბ ჟორდანიას**

**ეხება: ფიფა გოლის პროგრამა – გოლის მეორე პროექტს**

**ბატონო პრეზიდენტო, ჩემო ძვირფასო მეგობარო მერაბ,**

**2005 წლის 17 თებერვლის შეხვედრაზე გოლის ბიურომ განსაზღვრა ის ცხრა ქვეყანა, რომელიც სარგებელს მიიღებს გოლის მეორე პროექტიდან შემდეგ თვეში.**

**ფეხბურთისადმი ჩემი გრძელვადიანი დამოკიდებულებისა და მსოფლიო საფეხბურთო ოჯახისადმი აუცილებელი სოლიდარობის ფონზე, სიამოვნებით გაცნობებთ, რომ თქვენი წევრი ასოციაცია გახლავთ ერთ-ერთი შერჩეული ქვეყნებიდან. ეს შესაძლებლობას მოგცემთ განახორციელოთ თქვენი ასოციაციის მეორე პრიორიტეტული პროექტი თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების სტრუქტურის ფარგლებში.**

**ყველა საჭირო ინფორმაცია გოლის პროექტის პროცედურის შემდგომ ეტაპებთან დაკავშირებით გამოგეგზავნებათ ახლო მომავალში.**

**დარწმუნებული ვარ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ განახორციელოთ ეს პროექტი და წინასწარ გიხდით მადლობას თქვენ მიერ გაწეული ძალისხმევისთვის.**

**პატივისცემით,**

ი. ბლატერი.

# მიმართვა

## ყველა მსაჯისადმი, ინსპექტორისადმი, გუნდების ხელმძღვანელის, მოთამაშისა და მაყურებლისადმი

როგორც თქვენთვის ცნობილია, განახლდა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი. ჩვენი სურვილია, რომ მაყურებელმა, გუნდების ხელმძღვანელებმა და მოთამაშეებმა მიმართვა გაითავისონ და არ ჩათვალონ იგი უმნიშვნელო ფაქტად. ეს მიმართვა კატეგორიულია ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან და სრულად შეესაბამება ფიფასა და უეფას მოთხოვნებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი თქვენს ყურადღებას მიაპყრობენ ზოგიერთ არასასურველ ნეგატიურ ფაქტებზე, რომლებიც საფეხბურთო მატჩებისას დაფიქსირდა.

იყო შემთხვევები, როდესაც მოთამაშეები ხმამაღლა, უხეში, უცენზურო გამოთქმებით მიმართავდნენ მოწინააღმდეგეს ან თანაგუნდელს, განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაისაჯონ ის პირები, რომლებიც უცენზურო სიტყვებით მიმართავენ მსაჯებს და ინსპექტორს.

ბევრი მწვრთნელი არ იცავს წესრიგს ტექნიკურ ზონაში. იქცევიან არაეთიკურად, უცენზურო სიტყვებით გამოთქვამენ უკმაყოფილებას როგორც თავისი გუნდის მოთამაშეების, ისე მსაჯთა ბრიგადის მისამართით. შესაბამისი ყურადება უნდა მიექცეს მაყურებელთა საქციელს ტრიბუნებზე და მის გარეთ.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მკაცრად აფრთხილებს ყველა არბიტრს და ინსპექტორს, რათა არ დატოვონ რეაგირების გარეშე არც ერთი ასეთი ფაქტი და ყველაზე მკაცრი ზომებით შეებრძოლონ დისციპლინის დამრღვევებს. გამოიყენონ ყველა სანქცია, რაც გათვალისწინებულია დისციპლინური კოდექსით და ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტით.

კლუბების ხელმძღვანელებს ვთხოვთ, თავიანთ კლუბებში განიხილონ მოცემული მიმართვა და გააცნონ ყველა მწვრთნელსა და ფეხბურთელს, რათა აღმოფხვრილ იქნას მსგავსი შემთხვევები. მსაჯები და ინსპექტორები, რომლებიც სათანადო დონეზე არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მკაცრად დაისჯებიან სადისციპლინო კოდექსის თანახმად.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოუწოდებს ყველა მსაჯს და ინსპექტორს, კლუბების ხელმძღვანელებს, მოთამაშეებს, მაყურებლებს, საფეხბურთო მატჩების ყველა მონაწილეს, მკაცრად დაიცვან წესრიგი სტადიონებზე. კიდევ უფრო მომთხოვნი გახდნენ და პასუხისმგებლობა აიმაღლონ, რათა გამოირიცხოს უარყოფითი მომენტები, რომლებიც არ ალამაზებენ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებს.

დარწმუნებული ვართ, რომ ერთობლივი ძალებით მივაღწევთ და ქართულ ფეხბურთს ავიყვანთ სათანადო დონეზე.

**ა. მილჩენკო,**
**საქართველოს მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის პრეზიდენტი.**



## XXI ტური. მსაჯები, ინსპექტორები

**ზესტაფონი – ლოკომოტივი. მსაჯები** ა. კრიჭაშვილი, მ. ელიკაშვილი, ქ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი, **ინსპექტორი** — გ.ძამუკაშვილი.

**კოლხეთი – ტორპედო. მსაჯები** — ა. ორდინიძე, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი, ლ. კვარაცხელია, **ინსპექტორი** — ე. სილაგავა.

**დინამო (ბთ) – სიონი. მსაჯები** — ლ. სილაგავა, გ. ცირდავა, გ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, **ინსპექტორი** — ა. მილჩენკო.

**დინამო (თბ) – თბილისი. მსაჯები** — ზ. ანიაშვილი, ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე, ლ. ფანიაშვილი, **ინსპექტორი** — ნ. კაკულია.

**დილა – ვიტ. ჯორჯია. მსაჯები** — მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, ჯ. ბუიშვილი, **ინსპექტორი** — რ. ჩილაჩავა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელს თენგიზ კუბლაშვილს შვილის**

**ირინე კუბლაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**გამოსვენება 1.03. 14 საათზე.**

**ნუცუბიძის პლატო, III კვარტალი, IX კორპუსი.**

# ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი

## თვალსაზრისი

ხელთ მიპყრია სამი მეთოდური სახელმძღვანელო: „ფუტბოლ" უჩებნაია პროგრამა დლია სპორტივნიხ შკოლ, მოსკოვი, 1981; „ფუტბოლ" პოუროჩნაია პროგრამა დლია უჩებნო-ტრენიროვოჩნიხ გრუპ სპორტივნოგო სოვერშენსტვოვანია დიუსშ და სდიუშორ, მოსკვა, 1986; „ფეხბურთი" გაკვეთილებრივი პროგრამა ბმსს და ბმორსს სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფების 1-ლი და მე-2 წლის სწავლებისათვის, თბილისი, 1986.

კითხულობ მათ და გაოცებისა და აღშფოთების გრძნობა გიპყრობს. ვინ შეადგინა? ვინ მოიწონა? როგორ დაამტკიცეს? მწვრთნელმა რომ ამ „მეთოდურ სახელმძღვანელოებს" დაუჯეროს და იმით იხელმძღვანელოს, ნამდვილად დაღუპავს ბავშვებს. აქ ბავშვის შემოქმედება თითქმის ნულზეა დაყვანილი და ყველაფერი ფიზიკურ მომზადებაზეა დასული. ყველაფერი, ყველაფერი დაპროგრამებულია, თითოეული ნაბიჯი განსაზღვრულია, თითქოს ადამიანებთან კი არა (მით უმეტეს ბავშვებთან), რობოტებთან გვქონდეს საქმე. ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ „მეთოდიკით" რომ ემუშავათ მწვრთნელებს პელესთან, მარადონასთან, პლატინისთან, მესხთან?! გარწმუნებთ, მათგან დიდი ფეხბურთელის ნასახი აღარ დარჩებოდა. მათი წაკითხვის შემდეგ აღარ მიკვირს თუ რატომ ჰქონდა წარუმატებელი შედეგები საბჭოურ ფეხბურთს. ამ ვარჯიშებით შეიძლებოდა გაზრდილიყვნენ და კიდევაც იზრდებოდნენ მხოლოდ ურინი, სტარუხინი, სმერტინი, სახაროვი, ევრიუჟიხინი, მალოფეევი, გლოტოვი, დუბინინი — მომართულ-დაპროგრამებულ-ჩამშლელ-შემსრულებლები ყოველგვარი გონებრივი, შემოქმედებითი, ინტელექტუალური თამაშის მოძულენი. აღნიშნული მეთოდური გეგმები იბეჭდებოდა მოსკოვში — ქვეყნის ცენტრში და მით უნდა ეხელმძღვანელათ კოლის ნახევარკუნძულზე, კრასნოიარსკში, რიგაში, ვლადივოსტოკსა და თბილისში (?). თითქოსდა დედამიწაზე არც მერიდიანები მოიაზრებოდეს და არც გეოგრაფიული სარტყლები თუ ბუნებრივი ზონები. თითქოსდა, არავითარი განსხვავება არ ყოფილიყოს ჩუქჩებს, ლატვიელებს, ქართველებსა და ყირგიზებს შორის.

ალბათ ამიტომ იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ თამაში ჯოჯოხეთურად ძნელი ნებისმიერი გუნდისათვის.

მოგეხსენებათ, ბავშვთა ფეხბურთს, მისი განვითარებისა და სწორ გზაზე დაყენების საქმეს დიდ ყურადღებას აქცევს გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი. იგი თვლის, რომ არც ისე ხელწამოსაკრავია ქუჩის ფეხბურთი. დიახ, ქუჩის ფეხბურთიდან აიდგეს ფეხი პელემ, გარინჩამ, დიდიმ, სანტოსებმა, ვავამ, ამარილდომ, მარადონამ, სხვებმა.

—„ყოველთვის მაკვირვებდა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ა. ღოღობერიძის ზღაპრული თამაში. მისი უზადო ტექნიკა, ბურთის ფლობის შეუდარებელი მანერა. როცა 1965 წელს მოსკოვში ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ჯადოქრების პელე-გარინჩას წინააღმდეგ მომიწია თამაშმა, გავიფიქრე, რომ ჩვენი გუნდის „რკინის კაპიტანი" ა. ღოღობერიძე ტოლს არ დაუდებდა სახელმოხვეჭილ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს, შესაძლოა ბურთის დატყვევების ზოგიერთ მომენტში კიდევაც გაეკვირვებინა მას „ლუჟნიკის" სტუმრები — იხსენებს ვ. ბარქაია" (შ. ქირია „ფეხბურთის სტრატეგი").

თბილისში ჩამოსული იტალიური საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის" მწვრთნელები აღტაცებით აცხადებდნენ: „რაოდენ ბედნიერები ხართ ქართველები, რომ გყავთ ისეთი უნივერსალური და უნიკალური ნახევარმცველი, საერთაშორისო კლასის ისეთი ბრწყინვალე დიდოსტატი, როგორიც არის „დინამოს" კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე. ჩვენი ხანგრძლივი საფეხბურთო პრაქტიკის მანძილზე მსოფლიოს სტადიონებზე იშვიათად შეგვხვედრია ესოდენ ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი". (მ. მოსაშვილი „დიდი მანუჩარი").

უმაღლესი საფეხბურთო კლასი ავთანდილ ღოღობერიძემ და მანუჩარ მაჩაიძემ ქუჩის ფეხბურთით დაიწყეს და იგი გაიარეს სრული ატრიბუტიკით.

ხშირად, გონებით, შემიდარებია ხოლმე ერთმანეთისათვის ქუჩიდან მოსული ფეხბურთელი და თვითნასწავლი მხატვარი. ეს უკანასკნელი ლაღია, თავისუფალი ყოველგვარი აკადემიური დოგმებისაგან და ჩარჩოებისაგან. შესაბამისად, უფრო შემოქმედებითიცაა. „მწვრთნელი არ ეძახის პასი, პასიო" და საოცარი, საკუთარი ინდივიდუალური ხიბლი შეაქვს თავის ხელოვნებაში. ვინ იტყვის ახლა იმას, რომ ფიროსმანს რომელიმე მხატვარი ჯობია საქართველოში? ანდა, პროფესიონალი ანტუან ვატო და ნიკოლა პუსენი უკეთესი მხატვრები არიან ვიდრე თვითნასწავლი ვან გოგი და პოლ სეზანი? თუ აკადემიკოს გერასიმოვის ტილოები უფრო ფასობს, ვიდრე პაველ ფილონოვის ან კაზიმირ მალევიჩის? რა იქნებოდა დღევანდელი ფერწერა საქართველოში ჯემალ ხუციშვილის გარეშე?

როდესაც ვაჟა-ფშაველას ევროპაში სასწავლებლად გაგზავნის საკითხი დაისვა, ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგი



მარცხნიდან – გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე და მიხეილ პირაევი

წავიდა, თქვა: „ვაჟა იქ იმ ხიბლს დაჰკარგავს, რაც მთაში, ხალხში შეიძინაო".

რა თქმა უნდა, საფეხბურთო სკოლა, სექცია კარგი და აუცილებელია, მაგრამ ჭკვიანმა მწვრთნელმა იმდაგვარად უნდა წარმართოს ბავშვის აღზრდა, რომ ქუჩის სკოლა არ გამორიცხოს. პირიქით, ვარჯიშის შემდეგ, უნდა ეცადოს, რომ ყველა ჩაებას ქუჩურ ფეხბურთში. თვითონ კი შორიდან, შეუმჩნევლად აკვირდებოდეს თავის აღსაზრდელებს თუ როგორ მოქმედებენ დამოუკიდებლად, მწვრთნელის ზედამხედველობის გარეშე. ამ დროს იგი დაინახავს ბევრ რამეს, კერძოდ, თუ როგორ აზროვნებს დამოუკიდებლად, რა ინდივიდუალური თვისება ჰქონია ყველაზე მეტად განვითარებული, რაში უჭირს და ა.შ.

იგივე ბეკენბაუერი რეკომენდაციას იძლევა, რომ 11 წლამდე ბავშვები სისტემატურად ვათამაშოთ მინიფეხბურთი სისტემით 4X4. ერთი მეკარე, სამი წინ. ფეხბურთის მაესტრო ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში ბავშვებს მეტად ეძლევათ შემოქმედებითი თამაშის გამოვლენის შესაძლებლობა. დიახ, 11 წლამდე, მწვრთნელი ნაკლებად უნდა ჩაერიოს თამაშში, არ შეზღუდოს, არ შებორკოს, ბავშვები თვითონვე, მექანიკურად ამოირჩევენ იმ სათამაშო ადგილს, სადაც უკეთ გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს (ცრუ მოძრაობები, ფინტები, პასები, ჯარიმის დარტყმა და სხვა). როცა გადაიღლება, გამოვა მოედნიდან, დაისვენებს და ისევ შევა სათამაშოდ. მაგრამ ამას არ გააკეთებს თუ მწვრთნელის გამჭოლავ მზერას იგრძნობს („ეეჰ, დაიღალე, ხედავ, რა „სლაბი" ხარ?"). ამ პერიოდში მწვრთნელის ძირითადი მოვალეობა უნდა იყოს ორგანიზაცია გაუწიოს მათ შეგროვებას, შეკრება-თამაშებს; თამაშის წინ, ბავშვები უმალვე არ მივარდნენ ბურთს, ჩაუტაროს მოთელვა, კუნთების გახურება; თამაშისას აფიქსიროს ჯარიმა, პენალტი, აუტი. ერთი სიტყვით, გაუწიოს მსაჯობა. თამაშის შემდეგ ყურადღებით იყოს, რომ ბავშვებმა მაშინვე არ დალიონ ცივი წყალი დაღლილ გულზე; ესაუბროს დიდ ფეხბურთელებზე, საინტერესო საფეხბურთო ამბებზე და ა.შ. ამავე დროს, მკაცრ კონტროლზე უნდა აიყვანოს და სპეციალურ ჟურნალში ინიშნავდეს ბავშვების ყოველთვიურ მძლეოსნურ მონაცემებს, ვის აქვს ნორმატივებთან შედარებით უკეთესი შედეგი და ვის უჭირს, ვთქვათ 30 მეტრზე სპრინტში, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომაში. შესაბამისად მიეხმაროს ამ საქმეში მძლეოსნობის მწვრთნელი. (ზოგიერთი ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელი, საერთოდ, არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელთა მძლეოსნურ მონაცემებს, არც იცის, ვინ რა დროში გარბის 30, 50, 100 მეტრს, რა მონაცემები აქვთ სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში. ცალკეულ ფეხბურთელებს არ უნიშნავს ინდივიდუალურ მძლეოსნურ ვარჯიშებს, ან სულაც არ აქვს ჟურნალი). 13 წლის ასაკამდე, საერთოდ, უნდა აიკრძალოს ბავშვებისათვის მძიმე ფიზიკური დატვირთვები, განსაკუთრებით კროსები, მწვრთნელის დევიზი უნდა იყოს: ბურთთან და ბურთთან! თამაში და ბურთი! ბავშვები იოლად ითვისებენ სათამაშო ელემენტებს, ფინტებს, შემოქმედებით თამაშს. ამ ასაკში დასაშვებია და მეტსაც გეტყვით, აუცილებელია ბურთის „თრევა", ინდივიდუალური თამაში, რასაც შემდეგ ველარ ისწავლის. ზოგიერთი ვაი-მწვრთნელი ბავშვებს უკრძალავს ბურთის „თრევას". ვთქვათ, დიდობისას, თავდასხმაში მყოფმა მიიღო ბურთი. თავისიანები შორს არიან და ვერ დაეხმარებიან, ცუდი იქნება თუ შეეძლება ბურთის შენარჩუნება, მეტოქის მოტყუება და წინსვლა? ჩვენთან კი როგორ ხდება? თქვენ გაიგონებთ, როდესაც 9-10 წლის ფეხბურთელებს თამაშის დროს „დამრიგებელი" გაშმაგებით უყვირის: „პასი, პასი!" პასი უმთავრესი ელემენტია ფეხბურთში, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. 12 წლამდე ბავშვების ფიზიკური დატვირთვა უნდა ხდებოდეს უშუალოდ ფეხბურთის თამაშით პლუს სპრინტის, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომის ვარჯიშები. მწვრთნელის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს ბავშვი „შენობით ალაპარაკოს" ბურთთან, აუმაღლოს სისწრაფე, ასწავლოს ჯარიმისა და პენალტის დარტყმა, ფეხბურთის წესები. სისწრაფის მომატება სპეციფიკური ვარჯიშებით 16 წლამდე უფრო ეფექტურია, შემდეგ კი, მცირედით შეიძლება ამ საქმეში წინსვლა. ძირითადი ვარჯიში უნდა იყოს კენწლაობა. მახსოვს, როდესაც დიღომში ვარჯიშობდა თბილისის „დინამო", გუნდი წვრთნას ამთავრებდა, დაღლილი ფეხბურთელები გასახდელისკენ მიდიოდნენ, მაგრამ მოედანზე რჩებოდა მანუჩარ მაჩაიძე და სანამ ბურთი ჩანდა, და არ დაღამდებოდა, დაუღალავად, გაუთავებლად კენწლავდა ცალი, მერე ორივე ფეხით, თავით, მკერდით, მხრებით. შემდეგ, თან კენწლავდა, თან ტრიბუნაზე ვიღაცას ელაპარაკებოდა ისე, რომ ბურთს არ უყურებდა... აი, ამის გამოც ჰქონდა მანუჩარს ბურთის ფლობის საოცარი გრძნობა. თამაშის დროს თავი მაღლა ჰქონდა აწეული, მინდორს გასჩერებოდა და ბურთს „ფეხებით უყურებდა".

დიახ, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სიბეჯითით, პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მოეკიდება ფეხბურთელი ვარჯიშებს, იქნება ეს კენწლაობა, კარში დარტყმა, სპრინტი და სხვა.

„ერთხელ, სლავა მეტრეველმა მითხრა: ვარჯიშს დიდი სერიოზულობით, გულით უნდა მოეკიდო. თუ ზერელე ვარჯიშს შეეჩვიე, ეს ჩვევაში გადაგექცევა და თამაშის დროსაც ასე მოიქცევიო. მხოლოდ შემდეგში მივხვდი, — იგონებს დავით ყიფიანი, — თუ რა ფასდაუდებელი დარიგება მომცა სახელოვანმა ფეხბურთელმა".

ბავშვობის ასაკში, მწვრთნელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დიდობაში „ცალფეხა" არ დარჩეს. მწვრთნელებს რომ ბავშვობაში მეტი ეზრუნათ, მარჯვენა ფეხი ხომ უფრო ათამაშებული ექნებოდა გიორგი ქინქლაძეს? ჩემი შვილი ბექა მარჯვენა იყო. შვიდი წლის რომ გახდა, ყოველდღე, გაკვეთილების სწავლის შემდეგ ჩამყავდა ეზოში, გადავუგდებდი ბურთს და უნდა მიეღო მარცხენა ფეხით, დავუძახებდი: „10-ჯერ მარცხენა, 2-ჯერ მარჯვენა. 5-ჯერ მარცხენა მუხლით, 2-ჯერ მარჯვენა მუხლით. მარცხენით მომაწოდე!". შემდეგ ვაკენწლინებდი: „10-ჯერ მარცხენა, ორჯერ მარჯვენა!" ბოლოს მარცხენა ფეხით ვარტყმევინებდი დადებულ ბურთზე. ასევე მარცხენა ფეხით ვაკეთებინებდი პასებს, ბურთის ჩამოღებას და ფინტებს. ყოველივე ეს ხდებოდა არა სექციურ, არამედ, ინდივიდუალურ ვარჯიშებზე.

მრავალწლიანი, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი საოცარია — ბექა აბსოლუტურად ერთნაირად თამაშობს ორივე ფეხით. არანაირი განსხვავება არ არსებობს მის მარჯვენასა და მარცხენას შორის. ეს დიდ კოზირს აძლევს თამაშის დროს, „ცალფეხა" ფეხბურთელებისაგან განსხვავებით შეუძლია დროის დაუკარგავად (ერთი ფეხიდან მეორეზე მორგება) შეასრულოს ილეთი ან დაარტყას კარში. იგივე შეიძლება ითქვას თავით თამაშზეც. აღნიშნულ ასაკში ამაზე არავინ ზრუნავს. მე ხშირად მიხდება 12-13 წლის ფეხბურთელებთან ურთიერთობა სხვადასხვა რეგიონებში და სამწუხაროდ, იშვიათად მინახავს ფეხბურთელი (უმეტესად პროვინციებში), რომელიც 10-ზე მეტჯერ კენწლავდეს თავით.

ამ შემთხვევაშიც მინდა მოვიყვანო პირადი მაგალითი. ბექას მთავარი ნაკლი არის თავით სუსტი თამაში და რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ეს ჩემი ბრალია. პატარობისას (10 წლიდან დაწყებული) კვირაში ორჯერ ვაყენებდი კარის წინ, ბურთს ვაწოდებდი და თავით თამაშს ვასწავლიდი. მე უნდა გამეთვალისწინებინა ის, რომ ჯობდა გამეკეთებინა ფრენბურთის ბურთით, რომ ბავშვს თავი არ სტკენოდა და თანდათან გადავსულიყავი ჩვეულებრივ ბურთზე. იგი მძიმე ბურთისგან თავის ტკენის სინდრომით დაკომპლექსდა, რაც დიდობაშიც გაჰყვა.

ომარ ჩხეიძე

(გაგრძ. იქნება, დასაწ. „ლელო" №8-14)

# ქართული ფეხბურთის ერთი ეპიზოდის 80 წელი

გაცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებსო, უთქვამს ქართველს და დაუმატებია, — კაცს რამდენი სიკეთეც გაუჩნია, იმდენი სიცოცხლეცო. მაშ, თუ ხალხი გვქვია, გავიხსენოთ 1897 წელს ქ. ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, ბათუმის იახტკლუბის მფლობელი, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში აფროსნობისა და ნიჩბოსნობის პიონერი, 1914 წელს ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის ბაზაზე საფეხბურთო კლუბის — „პერვაია ვოლნაია ფუტბოლნაია კამანდას" — შემქმნელი. ბათუმში ინგლისის კონსული, ბატონი პატრიციი გიორგის ძე სტივენსი (ასე, რუსულ მანერაზე იხსენიებდნენ მას თანამედროვენი) და პატივი მივაგოთ მის ნათელ ხსოვნას. აქვე, იმასაც დავუმატებდი, რომ 1914 წელს ბატონი სტივენსის მიერ შექმნილმა საფეხბურთო კლუბმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის მეხანძრეებით, 1925 წელს საქართველოს საფეხბურთო კლუბებს შორის პირველმა გამართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ტრაბზონში. ადგილობრივ გუნდთან ორი შეხვედრის შედეგი ასეთი იყო: ერთ მატჩში იმარჯვეს ბათუმელმა მეხანძრეებმა ანგარიშით 7-1, მეორეში — ტრაბზონელ ფეხბურთელებმა 2-1.

მიმდინარე წელს სრულდება 80 წელი ამ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან და რარიგ დროული და მისასალმებელი იქნებოდა მისი აღნიშვნა, ჩავატაროთ ქ. ბათუმში ტურნირი მინიფეხბურთში ბატონ სტივენსის სახელობის პრიზზე. თუ გნებავთ, პრიზს „კონსულის პრიზი" ვუწოდოთ მეტი ბრწყინვალებისათვის. პირველ რიგში მოვიწვიოთ მეხანძრეთა საფეხბურთო ნაკრებები თურქეთიდან, უკრაინიდან, მეზობელი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და გავუმართოთ მათ, — თბილისისა და ბათუმის მეხანძრეთა გუნდებმა საფეხბურთო შერკინება. ტურნირის ფინალი კი 11 მაისს — მეხანძრეთა პროფესიულ დღესასწაულს დავამთხვიოთ. რაც შეეხება გამარჯვებულისათვის „კონსულის პრიზის" გადაცემის პროცედურას, ამ საქმისათვის საქართველოში მოღვაწე ინგლისის ელჩი ან კონსული მოვიწვიოთ. რა, მიამიტი გგონივართ? დამერწმუნეთ, საქართველოში ინგლისის საელჩო ამ იდეის რეალიზაციას (თუ ჩვენი სურვილიც იქნება) მხოლოდ ხელს შეუწყობს...

ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც (გარკვეულწილად აჭარასთან, სპორტთან და სახანძრო სამსახურთან დაკავშირებული). 1999 წლის 12-13 თებერვალს, თურქეთში, კერძოდ ქ. სტამბულის სასტუმრო „თოპკარ რესინში" გაიმართა თურქეთის სახანძრო რაზმების ასოციაციის პირველი კონგრესი, რომელსაც თურქული მხარის მიწვევით ესწრებოდა საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის იმჟამინდელი უფროსი პოლიციის გენერალ-მაიორი ბატონი ჯუმბერ სურმავა. კონგრესმა თურქეთის გაერთიანებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსად ერთხმად აირჩია ქ. სტამბულის სახანძრო დაცვის უფროსი, წარმოშობით ქართველი საბრი იალინი. როგორც გაირკვა, იგი აჭარის სოფელ ხაბელაშვილების მკვიდრი სულეიმან იალინის შვილიშვილი იყო, რომელთა ქართული გვარიც ბოლქვაძეა. ახლად არჩეულმა უფროსმა ბატონი ჯ. სურმავა წარუდგინა თურქეთის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ სულეიმან დემირელს. სწორედ თურქეთის პრეზიდენტის ინიციატივაა შავი ზღვის აუზის ქვეყნების მეხანძრეების დაახლოების მიზნით სპორტული ღონისძიებების ჩატარება. ჰოდა, აგაშენათ ღმერთმა, ჩვენ თუ გავათამაშებთ „კონსულის პრიზს" ფეხბურთში 1925 წლის პირველი საერთაშორისო მატჩის აღსანიშნავად, არც თურქეთი დარჩება დამკვირვებლის როლში. მოკლედ, აგერ ჩვენი მეგობარი თურქეთი, აგერ საქართველოს მეგობარი ქვეყნის ინგლისის საელჩო, აგერ შსს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, აგერ, ჩემო ბატონო, საქართველოს სახელოვანი ბიზნესმენები, რომლებიც მეხანძრეებს არასდროს შეგვიწუხებია, აგერ ბურთი და აგერ მოედანი... ჰო, სულ გადამავიწყდა — აგერ ჩვენი გაჭირვებაც, მაგრამ კაცობაც ის არ არის, გაჭირვებაში რომ ივარგებ?

დასასრულ, ბატონ სტივენსის სახელის უკვდავყოფა ღირსების საქმეა. დაგვეხმარეთ, ძლიერნო ამაქვეყნისანო ამ, მორალურადაც და პოლიტიკურადაც, მომგებიანი საქმის განხორციელებაში მეხანძრეებს და ღმერთიც შეგეწევათ. საქმე იმდენად სტივენსში როდია (იმ კაცს და მის ღვთისნიერ ქველმოქმედ დას, რომელიც უპატრონო ბავშვებს უვლიდა, ჩვენი მადლობისთვის არ უდვაწიათ), რამდენადაც ჩვენში. საქართველოს, აჭარის წინაშე სტივენსის ღვაწლის დაფასებით ჩვენ ხომ საკუთარ თავს ვცემთ პატივს, თორემ, სულმნათ ინგლისის კონსულს დიდი ხანია აღარაფერი უნდა.

ჩვენო საყვარელო ძმებო, სისხლი და ხორცო, ავკარგიანო აჭარლებო, დიდო და პატარავ, თუ ჩაგივარდებათ ხელში გაზეთი „ლელო" და გაეცნობით ჩემს წერილს (რასაკვირველია, თუ დაბეჭდეს, იმ შემთხვევაში), მოიწერეთ, დარეკეთ რედაქციაში, გამოთქვით თქვენი აზრი, თუ არ დაგეზარებათ, მეც შემეხმიანეთ — შსს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ ოფიცერს — ერთხელ ჩვენც ვცადოთ, უბრალო ხალხმა, კეთილი საქმის წამოწყება, ეგებ რამე გამოგვივიდეს, ძალა ერთობაშია.

ავთანდილ მახარაშვილი,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## «ინტერის» პირველი მარცხი

### კახი კალაძეს დაბადების დღე ჩაუშხამეს

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

**იტალიის სერია „ა"-ს** 26-ე ტურში, მილანის „სანსიროს" სტადიონზე შედგა ცენტრალური მატჩი „ინტერსა" და „მილანს" შორის. აქამდე „ინტერს" ჩემპიონატში ერთი მატჩიც არ ჰქონდა წაგებული და ცხადია, ამ შეხვედრაშიც შეეცდებოდა, ეს ტრადიცია გაეგრძელებინა. შეიძლება ასეც მომხდარიყო და „ინტერს" მე-17 მატჩი დაესრულებინა ფრედ, რომ არა კაკას მიერ 78-ე წუთზე გატანილი კურიოზული გოლი: „მილანის" მოთამაშის გატუზოს დარტყმის შემდეგ, „ინტერის" მცველებისაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კაკამ ბურთი ტოლდოს კარში შეაგორა. კვირას კახი კალაძეს 27 წელი შეუსრულდა. იგი „მილანის" სასტარტო შემადგენლობაში იყო, თუმცა, დაშავდა და 37-ე წუთზე სერჟინიოთი შეცვალეს.

**ამ შეხვედრაში გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:**

**„ინტერი":** ტოლდო, ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვერონი (ემრე, 74), კ. ძანეტი (ვან დერ მეიდე, 85), კამბიასო (ადრიანო, 80), სტანკოვიჩი, მარტინსი, ვიერი.



**„მილანი":** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე (სერჟინიო, 37), გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი, 80), რუი კოშტა (კოსტაკურტა, 66), კაკა, კრესპო.

ტურინის „იუვენტუსს" არ გასჭირვებია საკუთარ მოედანზე „სიენას" დამარცხება — 3-0. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს დელ პიერომ, (ორჯერ) და ემერსონმა.

**„იუვენტუსი":** ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (ფერარა, 88), ემერსონი (ტაკინარდი, 78), ბლაზი, სალაიეტა, დელ პიერო (ოლივერა, 68).

სატურნირო ცხრილში „მილანი" და „იუვენტუსი" 57-57 ქულით კვლავ პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. მესამე ადგილზე 44 ქულით „სამპდორიაა".

**სხვა მატჩები:** „ბრეშა" —„სამპდორია" 0-1, „ფიორენტინა" — „უდინეზე" 2-2, „პალერმო" — „რომა" 2-0, „ლაციო" — „პარმა" 2-0, „ბოლონია" — „ლივორნო" 0-0, „კალიარი" — „ატალანტა" 3-3, „ლეჩე" — „მესინა" 1-0, „რეჯინა" — „კიევო" 1-0.

**მომდევნო ტური. 6 მარტი.** „უდინეზე" — „ბოლონია", „სიენა" — „ბრეშა", პარმა" — „კალიარი", „სამპდორია" — „კიევო", „რომა" — „იუვენტუსი", „მესინა" — „ლაციო", „ინტერი" — „ლეჩე" „ატალანტა" — „მილანი", „ლივორნო" — „პალერმო", „ფიორენტინა" — „რეჯინა".

**ინგლისის პრემიერლიგის** 28-ე ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა" უეინ რუნის გოლების წყალობით 2-1 დაამარცხა „პორტსმუთი", დააგროვა 59 ქულა და 9 ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერს ლონდონის „ჩელსის".

**„მანჩესტერ იუნაიტედი":** ჰოვარდი, გ. ნევილი (სმიტი, 47), ბრაუნი, სილვესტრი, ჰაინცე, რონალდო, ოში, სქოულზი (გიგზი, 65), ფილ ნევილი, რუნი, ვან ნისტელროი (ფორჩუნი, 85).

ლონდონის „არსენალმა" ვერ მოახერხა სტუმრად „საუთჰემპტონის" დამარცხება — 1-1.

**სხვა მატჩები:** „ასტონ ვილა" — „ევერტონი" 1-3, „ტოტენჰემი" — „ფულემი" 2-0, „კრ. პალასი" — „ბირმინგემი" 2-0, „ნიუკასლი" — „ბოლტონი" 2-1, „მიდლსბრო" — „ჩარლტონი" 2-2.

**მომდევნო ტური. 5 მარტი:** „არსენალი" — „პორტსმუთი", „ასტონ ვილა" — „მიდლსბრო", „კრ. პალასი" — „მანჩესტერ იუნაიტედი", „ევერტონი" — „ბლექბერნი", „ფულემი" — „ჩარლტონი", „მანჩესტერ სიტი" — „ბოლტონი", „ნიუკასლი" — „ლივერპული", „ნორვიჩი" — „ჩელსი", „საუთჰემპტონი" — „ტოტენჰემი", „ვესტ ბრომვიჩი" — „ბირმინგემი".

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** 25-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ბარსელონამ" სტუმრად აუტსაიდერი „ნუმანსიას" დამარცხება ვერ მოახერხა — 1-1. საინტერესოა, რომ „ნუმანსია" 44-ე წუთზე ხუანლუს გოლით დაწინაურდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი მარკესმა წონასწორობა აღადგინა. **ამ მატჩში „ბარსელონა" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** ვალდესი, ბელეტი (ალბერტინი, 33), პუიოლი, ოლეგერი, სილეინო, ჩავი, მარკესი, დეკუ, ჟიული (ინიესტა, 52), რონალდინიო (მაქსი ლოპესი, 73), ეტო'ო.

კატალონიური კლუბის შეფერხებით ვერ ისარგებლა მადრიდის „რეალმა". „სამეფო კლუბმა" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია, ამჯერად სტუმრად „დეპორტივოსთან" — 0-2.

მასპინძლები უკვე მე-7 წუთზე ლუკეს გოლის წყალობით დაწინაურდნენ. 5 წუთში პავონმა მეორედ აიღო მადრიდელთა კარი. დარჩენილ 75 წუთში „რეალმა" ერთი საპასუხო გოლის გატანაც ვერ მოახერხა.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„დეპორტივო".** მუნუა, მანუელ პაბლო, კოლი ჩინი (რომერო, 78), ანდრადე, კაპდევილა, სერხიო, მაურო სილვა (სკალონი, 54), ვიქტორი, ვალერონი, ლუკე (ფრანი, 74) დიეგო ტრისტანი.

**„რეალი":** კასილიასი, რაულ ბრავო (პალენსია, 57), პავონი, სამუელი, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, გრავესენი, ზიდანი (სოლარი, 27), ფიგუ, ოუენი, პორტილიო (სელადესი, 75).

სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე მყოფ „ბარსელონას" 58 ქულა აქვს, ხოლო „რეალს" — 8 ქულით ნაკლები.



**სხვა მატჩები:** „ესპანიოლი" — „ალბასეტე" 2-1, „მალიორკა" — „ლევანტე", 1-2, „ოსასუნა" — „მალაგა" 1-6, „სარაგოსა" — „ვილიარეალი" 1-0, „სევილია" — „რასინგი" 2-2, „ატლეტიკო" — „სოსიედადი" 1-0, „ვალენსია", — „ბეტისი" 2-1.

მორიგი



ტური ხვალ, 2 მარტს გაიმართება. **ერთმანეთს შეხვდებიან:** „ალბასეტე" — „ოსასუნა", „ბარსელონა" — „ესპანიოლი", „რასინგი" — „ატლეტიკო", „სოსიედადი" — „სარაგოსა", „ხეტაფე" — „დეპორტივო", „რეალი" — „ბეტისი", „სევილია" — „ვალენსია", „ლევანტე" — „ნუმანსია", „მალაგა" — „ბილბაო", „ვილიარეალი" — „მალიორკა".

**გერმანიის ბუნდესლიგის** 23-ე ტურში ლევან კობიაშვილის „შალკემ" ჰანკეს ერთადერთი გოლის წყალობით საკუთარ მოედანზე 1-0 დაამარცხა „ჰანოვერი". მასპინძელთა რიგებში კობიაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**„შალკე":** როსტი, პანდერი, ბორდონი, კრსტაიჩი, ჰოოგლანდი, კობიაშვილი, ლინკოლნი (როდრიგესი, 88), ვერმანტი (პოულსენი, 72), აილტონი (კამფუისი, 80), ჰანკე, ასამოა.

ასეთივე ანგარიშით მიუნხენის „ბაიერნმა" სტუმრად სძლია ხიზანეიშვილის, ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგს".

სატურნირო ცხრილში „ბაიერნი" და „შალკე" 47-47 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

**სხვა მატჩები:** „დორტმუნდი" — „მაინცი" 3-0, „ვერდერი" — „ბოხუმი" 4-0, „ჰანზა" — „მიონხენგლადბახი" 0-0, „კაიზერსლაუტერნი" — „ვოლფსბურგი" 0-0, „ჰერტა" — „ჰამბურგი" 4-1, „არმინია" — „ნიურნბერგი" 3-1, „ლევერკუზენი" — „შტუტგარტი" 1-1.

**მომდევნო ტური. 5-6 მარტი.** „ჰერტა" — „კაიზერსლაუტერნი", „მაინცი" — „ფრაიბურგი", „ნიურნბერგი" — „დორტმუნდი", „შტუტგარტი" — „არმინია", „ჰამბურგი" — „ლევერკუზენი", „მიონხენგლადბახი" — „ვოლფსბურგი", „ჰანოვერი" — „ჰანზა", „ბოხუმი" — „შალკე", „ბაიერნი" — „ვერდერი".

**გაგაცნობთ საფრანგეთის ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩების შედეგებს:** „ლიონი" — „სტ. ეტიენი" 3-2, პსჟ — „ბასტია" 1-0, „ნიცა" — „მონაკო" 2-1, „ბორდო" — „კაენი" 2-2, „აიაჩო" — „ლანსი" 0-0, „ლილი" — „რენი" 0-0, „მარსელი" — „ისტრი" 1-1.

სატურნირო ცხრილში 56 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა „ლიონი", რომელსაც 8 ქულით ჩამორჩება „მარსელი".

## როი კინს „ბარსელონა" ჩასაფრებია

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი თავისი გუნდის ხელმძღვანელობას ურჩევს დროულად გააგრძელოს კონტრაქტი ნახევარმცველ რაიან გიგზთან. საქმე ის არის, რომ ამ ფეხბურთელსა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებებს ყურადღებით ადევნებს თვალს ესპანეთის „ბარსელონა". კატალონიელებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ გიგზის შეძენის იმედი.

„ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან გიგზი, რონალდო, დაფი, რობენი, ძალიან ცოტაა. მათ ძალუძთ, ინდივიდუალურად გადაწყვიტონ მატჩის ბედი. რაიან გიგზი ძალიან სჭირდება „მანჩესტერ იუნაიტედს". ის მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად, მაღალ დონეზე თამაშობს. ასე რომ, გიგზი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ," — განაცხადა როი კინმა.

## 15 წელიწადი უეფას თავკაცად

ლენარტ იუჰანსონი უკვე 15 წელიწადია ხელმძღვანელობს ისეთ დიდ ევროპულ საფეხბურთო ორგანიზაციას, როგორიც უეფაა. 1990 წელს, მალტაში გამართულ კონგრესზე იუჰანსონი უეფას პრეზიდენტად აირჩიეს. ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ასე მაგალითად, 15 წლის წინ უეფას სტრუქტურაში 100-მდე თანამშრომელი იყო, ხოლო შტაბ-ბინა მდებარეობდა ბერნში, ერთ-ერთი მრავალსართულიან შენობაში. დღეს, ამ ორგანიზაციაში 200 სპეციალისტი მუშაობს, ხოლო შტაბ-ბინა წამოჭიმულია ჟენევის მახლობლად, ტბის ნაპირთან.

იუჰანსონი დარწმუნებულია, რომ ამდენი ხანი პრეზიდენტის პოსტი თავისი ეროვნული წარმომავლობიდან გამომდინარე შეინარჩუნა. „მე წარმოშობით ვარ პატარა ქვეყნიდან, — შვედეთიდან, სადაც ძალიან უყვართ დისციპლინა და სიზუსტე. ეს თვისებები, როგორც ყველა შვედს, მეც მახასიათებს," — ამბობს ლენარტ იუჰანსონი.

შვედეთი ამაყობს საფეხბურთო ჩინოვნიკებით. უეფას დირექტორი ლარს — კრისტენ ოლსონი ლენარტ იუჰანსონის თანამემამულეა. ოლსონმა ამ პოსტზე ცოტა ხნის წინ შეცვალა გერჰარდ აიგნერი.

„აიგნერი ჩემთვის ფეხბურთის განსახიერება იყო. მან უეფაში ძალზე დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა. ის გამოირჩეოდა სიზუსტით, პუნქტუალობით, სიკეთით. აიგნერს ჩემს უახლოეს მეგობრად ვთვლი", — ამბობს ლენარტ იუჰანსონი. უეფას პრეზიდენტის თქმით, მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ამოცანებია გადასაწყვეტი. დიდ ყურადღებას აქცევს ბრძოლას ხულიგნობისა და რასიზმის წინააღმდეგ. გარდა ამისა, უეფას



მიზანია, ორი დიდი ევროტურნირის — ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშების კონსოლიდაცია. ორივე შეჯიბრება ახალი ფორმატით უნდა ჩატარდეს. იუჰანსონი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგაც და უეფას თასის გათამაშებაც მომავალში კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

## ინგლისის ლიგის თასი — „ჩელსის"

მიმდინარე სეზონში ლონდონის „ჩელსიმ" ინგლისის ლიგის თასი მოიგო. ამ გათამაშების ფინალში აბრამოვიჩის გუნდის მეტოქე „ლივერპული" იყო. პირველსავე წუთზე როსემ „ლივერპული" დააწინაურა. საბოლოო გამარჯვებამდე ამ გუნდს 11 წუთი დააკლდა. 79-ე წუთზე ჯერარდმა საკუთარ კარში ჩაჰკრა ბურთი. დაინიშნა დამატებითი დრო. 107-ე წუთზე დროგბამ „ჩელსი" წინ გაიყვანა. ხუთ წუთში კეჟმანმა გამოიჩინა თავი, რასაც მალევე ნუნიესის საპასუხო გოლი მოჰყვა. საბოლოოდ, მატჩი „ჩელსიმ" 3-2 მოიგო. აბრამოვიჩის გუნდმა თამაში მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს გარეშე დაასრულა — როცა ანგარიში 1-1 გახდა, პორტუგალიელი სპეციალისტი „ლივერპულის" ფანებისაკენ შებრუნდა და ტუჩებზე თითის მიტანით ანიშნა გაჩუმებულიყვნენ. ამ ჟესტის გამო მსაჯმა მოურინიო ჯერ გააფრთხილა, შემდეგ კი გააძევა კიდეც.

**გაგაცნობთ გუნდების შემადგენლობას:**



**„ლივერპული":** დუდეკი, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე (ბისკანი, 67), ლუის გარსია, ჯერარდი, ჰამანი, რიისე, კიუელი (ნუნიესი, 56), მორიენტესი (ბაროში, 74).

**„ჩელსი":** ჩეხი, პაულუ ფერეირა, კარვალიუ, ტერი, გალა (კეჟმანი, 74), იაროშჩიკი (გუდიონსენი, 46), ლემპარდი, მაკელელე, ჯო კოული (ჯონსონი, 81), დროგბა დაფი.

## მოურინიოს კოლინას იმედი აქვს

**ლონდონის „ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუ „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მერვედფინალურ მატჩს იტალიელი არბიტრი პიერლუიჯი კოლინა იმსაჯებს.**

**„გული მიგრძნობს, რომ „ჩელსი" — „ბარსელონას" მატჩის დროს, მოედანზე კოლინა იქნება. ის საუკეთესო არბიტრია მსოფლიოში, რომელიც არავის გავლენის ქვეშ არ იმყოფება" — ამბობს მოურინიო.**



**შეგახსენებთ, რომ ბარსელონაში გამართულ პირველი მერვედფინალური მატჩის შემდეგ „ჩელსის" მთავარი მწვრთნელი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. იგი აპროტესტებდა შესვენებაზე მომხდარ ფაქტს, როცა ფრანკ რაიკაარდი მატჩის არბიტრს ხუთი წუთის განმავლობაში ესაუბრებოდა. სწორედ ამ საუბარს დაუკავშირა მოურინიომ დროგბას გაძევება მეორე ტაიმში.**

## რომარიო საპლაჟო ფეხბურთმა „ჩაითრია"

ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსებას დაიცავს საპლაჟო ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც მაისში რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება...

ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში 12 ფეხბურთელია, მათ შორის ჟუნინიო, ბრუნო, ნენემი და სხვები.

## ზიდანი: «ოუენმა უნდა მოითმინოს»

**მადრიდის „რეალის" ნახევარმცველმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მაიკლ ოუენმა ინგლისში დაბრუნება არ უნდა იჩქაროს.**

**„როცა ოუენი „რეალში" გადმოდიოდა, მან კარგად იცოდა, რომ კონკურენცია უნდა გაეწია რონალდოსა და რაულისათვის. ბოლო პერიოდში ის ინგლისში დასაბრუნებლად განეწყო, მაგრამ მე ვურჩევ, არ იჩქაროს. მას ყველაფერი წინ აქვს" — ამბობს ზიდანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნბა

## „ფილადელფიას“ ვერც აივერსონმა უშველა და ვერც ვებერმა

გასულ უქმეებზე ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი მატჩები გაიმართა. შაბათს, დაძაბული გამოდგა „მემფისი“ — „დენვერის“ შეხვედრა. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 91:91. დამატებით დროში „დენვერმა“ იმარჯვა და 3 ქულის სხვაობით დაამთავრა შეხვედრა — 97:94. „დენვერში“ მოთამაშე კემბიმ 17 ქულა მოაგროვა და 15-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ალენის ბრწყინვალე თამაშმა (32 ქულა) განაპირობა „სიეტლის“ გამარჯვება (98:88) „მინესოტასთან“. „ლეიკერსმა“ საკუთარ მოედანზე მარცხი იწვნია „დეტროიტთან“ შეხვედრაში — 89:111. მასპინძლებს ვერ უშველა კობი ბრაიანტის შედეგიანმა თამაშმა, რომელმაც 20 ქულა მოაგროვა და 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

წააგო „მილუოკიმაც“, — საკუთარ მოედანზე „ტორონტოსთან“ — 102:106. სტუმართა რიგებში საუკეთესო იყო ბოში, რომლის ანგარიშზე 27 ქულაა. „მილუოკის“ შემადგენლობაში კი სმიტი აქტიურობდა, რომელმაც 20 ქულა მოაგროვა და 14-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„პორტლენდმა“ მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით — 102:101 დაამარცხა „ატლანტა“, „ნიუ ჯერსის“ კი არ გასჭირვებია აუტსაიდერ „შარლოტას“ ძლევა — 93:86. კვირას „ფინიქსმა“ ლიდერის სტივ ნეშის არყოფნაში 124:123 დაამარცხა „დალასი“ და კვლავ შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია დასავლეთ კონფერენციაში. „ფინიქსის“ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სტაუდმაიერს, რომელმაც გუნდს 33 ქულა შესძინა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „დალასის“ რიგებში ყველაზე მეტი — 27 ქულა მოაგროვა ტერიმ. დირკ ნოვიცკის ანგარიშზე 26 ქულაა. ვერც ალენ აივერსონმა და ვერც ახლადგადასულმა ვებერმა ვერ უშველეს „ფილადელფიას“ საშინაო მატჩში „საკრამენტოსთან“. ეს გუნდი 2 ქულის სხვაობით დამარცხდა — 99:101. აივერსონმა 27 ქულა მოაგროვა და 14-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, ხოლო ვებერის ანგარიშზე 16 ქულა და ფარიდან ბურთის 11-ჯერ მოხსნაა.



ასევე ორი ქულის სხვაობით დამარცხდა „სან ანტონიო“, — საკუთარ მოედანზე „მემფისთან“ — 82:84. მასპინძელთა გუნდის ლიდერმა თიმ დანკანმა 27 ქულა დააგროვა და 19-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის.

**გაგაცნობთ გუშინდელი მატჩების შედეგებს:** „კლიპერსი“ — „ატლანტა“ 111:104, „გოლდენ სტეიტი“ — „დეტროიტი“ 88:91, „ვაშინგტონი“ — „საკრამენტო“ 108:110, „ნიუ ორლეანი“ — „დენვერი“ 93:94, „ორლანდო“ — „მაიამი“ 103:112, „ფინიქსი“ — „ბოსტონი“ 113:120 (ო.ვ.), „პორტლენდი“ — „მინესოტა“ 83:91.

## კასამაიორი ყველას წინააღმდეგ

ვბა-ს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჰოელ კასამაიორმა გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საბრძოლველად იწვევს ყველა მოკრივეს მსუბუქი წონიდან საშუალო წონით კატეგორიამდე.

„მე ბევრი სახელგანთქმული მოკრივე დავამარცხე და თავად არც ერთხელ დავმარცხებულვარ. ვთვლი, რომ ტიტულები უსამართლოდ ჩამომართვეს“ — აცხადებს კასამაიორი. ის მზად არის, მესამედ შეხვდეს რინგზე დიეგო კორალესს იმ შემთხვევაში, თუ ხოსე-ლუის კასტ კასტილიოსა და ხულიო დიასს შორის გამარჯვებული მასთან ბრძოლაზე რაიმე მიზეზით უარს იტყვის.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, კასამაიორი დამარცხდა კორალესთან მსაჯების საკამათო გადაწყვეტილების თანახმად. „თავის დროზე, როცა კორალესი პირველად დავამარცხე, მე დავთანხმდი მატჩ-რევანშზე, მაგრამ შემდეგ, როცა კორალესმა საეჭვო გამარჯვება მოიპოვა ჩემთან ბრძოლაში, რომლის ერთ მომენტში ნოკდაუნში აღმოჩნდა, მან პირობა არ შეასრულა და მატჩ-რევანშზე უარი თქვა,“ — ამბობს კასამაიორი. ყოფილი ჩემპიონი პირობას დებს, რომ ნებისმიერ მეტოქეს დაამარცხებს.

## თბილისში ფიდეს სტუმრობის შედეგები



**თბილისში დასრულდა ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს ორდღიანი სხდომა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართულ ჭადრაკში. მსგავსი ღონისძიებისათვის საქართველოს მანამდე არ უმასპინძლია.**

ფიდეს საბჭოს სხდომაზე უმნიშვნელოვანესი საკითხები იხილებოდა. გადაწყდა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში რვა მოჭადრაკის მონაწილეობით გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც პლანეტის აბსოლუტურ ჩემპიონს დაასახელებს. ამ შეჯიბრებაში იასპარეზებენ რუსტამ კასიმჯანოვი, მაიკლ ადამსი, ვლადიმირ კრამნიკი, გარი კასპაროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი, პეტერ ლეკო, ვიშვანათან ანანდი და ვესელინ ტოპალოვი. საპრიზო ფონდი მინიმუმ 500 ათასი დოლარი იქნება. ფიდეს პრეზიდენტი **კირსან ილიუმჟინოვი** ვარაუდობს, რომ ოქტომბრამდე ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება.

ტურნირის მასპინძლობის სურვილი ელისტამ და თბილისმა გამოთქვეს. ფიდეს საპატიო პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა განაცხადა: „საქართველო საჭადრაკო ტრადიციებით მდიდარი ქვეყანაა. თუ ამ ქვეყნის ჭადრაკის ფედერაცია გადაწყვეტს ყველა იმ საორგანიზაციო საკითხს, რომელიც ასეთი დიდმნიშვნელოვანი ტურნირის ჩატარებას უკავშირდება, მიეცემა ძალიან კარგი შანსი უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს“.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გურამ აბსანძემ** აღნიშნა, რომ ის მაქსიმუმს გააკეთებს, რათა წარმატებას მიაღწიოს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისათვის გამართულ ტენდერში, რომელიც 14 აპრილამდე გასტანს. თბილისისა და ელისტის გარდა შეჯიბრების მასპინძლობის სურვილი აქვთ ერევანსა და სინგაპურს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატს ინსპექტირებას გაუწევს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ აზმაიფარაშვილი.** რაკი ქართველი დიდოსტატი ვახსენეთ, გეტყვით, რომ ფიდემ კალვიაში 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე მომხდარ ინციდენტზეც იმსჯელა. პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციამ დაკარგა ფიდეს ნდობა და ამ ორგანიზაციის სკითხი რომელიმე მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობაზე აღარ განიხილება.

ფიდემ გადაწყვიტა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას საჭადრაკო აკადემიის გახსნაში დაეხმაროს. სხვათა შორის, ასეთი აკადემია პირველი იქნება ევროპაში. მსგავსი რამ სინგაპურშია გახსნილი, რომელშიც სხვებთან ერთად მუშაობენ **ნატო ეძგვერაძე** და **გოგი ხომერიკი.** საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია საჭადრაკო აკადემიის პროექტს წარუდგენს ფიდეს. და კიდევ ერთი, აღნიშნულ სხდომაზე ფიდეს გენერალურ მდივნად სინგაპურელი **იგნასიო ლეონგი** აირჩიეს.

ფიდეს დელეგაციამ მცხეთა და ჯვრის მონასტერი მოინახულა, დაესწრო თეატრ „ნაბადის“ სპექტაკლს, და რესტორან „იმერთშიც“ მოილხინეს...



## ინგლისელებმა მესამედ წააგეს

რაგბიში ექვსი ერის პირველობაზე მესამე ტურის მატჩები გაიმართა. მესამე მარცხი იწვნია ინგლისის ნაკრებმა, — ამჯერად სტუმრად ირლანდიელებთან — 13:19. ფრანგები შინ 18:24 დამარცხდნენ უელსის გუნდთან, ხოლო შოტლანდიელებმა 18:10 აჯობეს იტალიელებს. სატურნირო ცხრილში სამ-სამი მოგებით პირველ-მეორე ადგილებს ირლანდიელი და უელსელი მორაგბეები იყოფენ.

## ისინბაევა 5-მეტრიან ზღვარს უახლოვდება

**უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ მესამე მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში. ახალი რეკორდი კვირას, საფრანგეთის ქალაქ ლიევენში დაფიქსირდა — 4 მეტრი და 89 სანტიმეტრი. ლეგენდარულმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ ამ ცოტა ხნის წინ ისინბაევას 5-მეტრიანი ზღვარის დაძლევა უწინასწარმეტყველა. ელენა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს ამ ზღვარისკენ. საინტერესოა, რომ 4 მეტრისა და 89 სანტიმეტრის დაძლევის შემდეგ ისინბაევა შეეცადა 5 მეტრისა და 5 სანტიმეტრისათვის ზემოდან გადაევლო, მაგრამ ვერ მოახერხა. რუსი სპორტსმენი დარწმუნებულია, რომ სანუკვარ მიზანს მალე მიაღწევს.**




## რეიტინგები, რეიტინგები...

გუშინ გამოქვეყნდა ვტა-სა და ატპ-ს მორიგი რეიტინგები. ჩოგბურთელ ქალთა შორის პირველ ადგილზე კვლავ ამერიკელი ლინდსეი დევენპორტია 4965 ქულით. მის გარდა რეიტინგის პირველ ხუთეულში შედიან: ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 4890, მარია შარაპოვა (რუსეთი) — 4544, სერენა უილიამსი (აშშ) — 4389, ანასტასია მისკინა (რუსეთი) — 3785. ვაჟთა შორის საუკეთესო სამეული უცვლელია — როჟე ფედერერი (შვეიცარია) — 6175, 2. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 3990, 3. ენდი როდიკი (აშშ) — 3855.

## მარია შარაპოვამ დოჰას ტურნირი მოიგო

რუსი ჩოგბურთელის მარია შარაპოვას გამარჯვებით დასრულდა დოჰას საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარი იყო. ფინალში შარაპოვამ 4:6, 6:1, 6:4 დაამარცხა ალისა მოლიკი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა კი დუბაის ტურნირი მოიგო. ფინალში ფედერერმა 6:1, 6:7, 6:3 აჯობა ივან ლიუბიჩიჩს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**1 მარტი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა (15.25), **იმედი.** პროგრამა „გოლი“ (17.25), „გოლი“ სერია „ა“. იტალიის ჩემპიონატი (2.45), **მზე.** ფეხბურთი. „ბარსელონა“ — „ესპანიოლი“ (0.00); *НТВ плюс футбол.* პორტუ-ჩემპიონატი. „პორტუ“ — „ბენფიკა“ (13.00), რუსეთის თასი. მერვედფინალი. „მოსკოვი“ — ცსკა (14.55), თავისუფალი დარტყმა (16.50), ესპანეთის (17.05), ლიბერტადორესის თასის (18.00), გერმანიის (18.30), ინგლისის (19.55), იტალიის (20.55) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (21.55), რუსეთის თასი. მერვედფინალი (23.50), ლიბერტადორესის თასი (1.35); *НТВ плюс спорт.* ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში (10.45), ბილიარდი (11.45), სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი (19.30), ჩოგბურთი. დევისის თასის სტარტის წინ. 2002 წ. საფრანგეთი — რუსეთი. სანტორო ესკუდე — კაფელნიკოვი საფინი (21.00); EUROSPORT. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. უეფა (11.00), ევროგოლები (12.00, 17.00), ჩოგბურთი „ვტა“-ს ტურნირი (13.00, 18.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავთა საათი (16.00, 21.00), კრივი. პროფესიონალები (22.00), ევროსპორტის ახალი ამბები (2.00), კალათბურთი. ნბა (3.00 — 9.00).

**2 მარტი, ოთხშაბათი**

*НТВ плюс футбол.* ესპანეთის ჩემპიონატი (12.15, 21.55 — პირდაპირი ტრანსლაცია), რუსეთის თასი. მერვედფინალი. „ტორპედო“ — ლიპეცკის „მეტალურგი“ (14.00). თავისუფალი დარტყმა (15.45), იტალიის (16.00), ინგლისის (16.55) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. რუსეთის თასი. მერვედფინალი: „მოსკვა“ — ცსკა (17.50), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (19.55), საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.50), კალათბურთი. ნბა (3.00 — 9.00); *НТВ плюс спорт.* სპორტული ცეკვები. გრან-პრი პროფესიონალთა შორის (10.45), ავტოსპორტი. რბოლა „ყველა ვარსკვლავი“ (14.00), „დევისის თასის“ ჩოგბურთელთა ახალი სეზონის წინ (20.45); EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (11.00). მძლეოსნობა. გრან-პრი (12.00, 16.00), ჩოგბურთი. „ვტა“-ს ტურნირი (13.30, 18.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ევროპის კლუბების საუკეთესო მატჩები (21.00), ევროსპორტის ახალი ამბები (1.45).

**3 მარტი, ხუთშაბათი**

*НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 15.45, 19.45), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (14.00, 20.10), საფრანგეთის (16.00), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (17.00), იტალიის ჩემპიონატი. „ინტერი“ — „მილანი“ (17.30), ესპანეთის (22.25), ინგლისის (0.25), გერმანიის (1.20), ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. კალათბურთი. ნბა (3.00 — 9.00). *НТВ плюс спорт.* ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (10.45), ფიგურული ციგურაობა. კატარინა ვიტის შოუ (11.15), „ატრ“-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (17.55), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (21.20), ჩოგბურთი. დევისის თასის სტარტის წინ. 2002 წ. ფინალი. საფრანგეთი — რუსეთი. პოლ-ანრი მატიე — მიხაილ იუშნი (22.35), EUROSPORT. საციგაო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00), ჩოგბურთი. „ვტა“-ს ტურნირი (18.00), მძლეოსნობა. გრან-პრი (19.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ევროპის კლუბების საუკეთესო მატჩები (21.00, 1.15), კრივი. პროფესიონალები (23.00), ევროსპორტის ახალი ამბები (1.00, 3.15).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. რუსული ჭიდაობა, 3. ქართული ჭიდაობის ილეთი, 6. სატყორცნი მძლეოსნური იარაღი, 8. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 9. კურნიკოვას სახელი, 10. მთა თბილისთან ახლოს, 12. წარსულში ცნობილი ქართველი ტყვიის მსროლელი, 16. საქართველოს საკალათბურთო გუნდი (შემოკლებით), 17. ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი კურორტი, 19. ოჩამჩირის ყოფილი საფეხბ. გუნდი, 20. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, 22. მსოფლიოს ფრენბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი თბილისელი ქალი, 23. ინგლისის II დივიზიონის საფეხბ. კლუბი, 25. ძალოსანთა სავარჯიშო სიმძიმე, 26. „იუვენტუსის“ ფეხბურთელი, 27. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 2. პროფესიონალი მოკრივე, 3. მძლეოსნური იარაღი, 4. ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი ვაჟი, 5. კრივში შეჯიბრების მონაკვეთი, 7. ერთგვარი სვლა ჭადრაკში ფიგურების გადაადგილებით, 8. საყაიმო შედეგი, 11. წარსულში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო რუსი ჰოკეისტი, 13. საჭადრაკო ფიგურა, 14. ნბა-ს ქართველი ლეგიონერი, 15. ცნობილი ქართველი ბატუტისტი გოგონა, 16ა. მატჩის ერთი ნახევარი, 18. ფრანგი ფეხბურთელი, 21. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია, 24. „მონაკოს“ ფეხბურთელი.




**მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 6. „ადიდასი“, 7. „ალანია“, 8. აკვრა, 10. პრიზი, 12. ქიური, 13. ლისი, 16. კანი, 17. გელერი, 18. „კროკო“, 20. ლეკო, 22. ვოლანი, 23. „ნაპოლი“, 26. ფიოლერი, 27. ბიკილა.

**შვეულად:** 1. თასი, 2. „ნიცა“, 3. „ოსერი“, 4. რაში, 5. ფილია, 7. ანპილოგოვი, 9. კორტი, 11. „ფილადელფია“, 14. სოლტლეიკი, 15. „ფრანი“, 19. რაპირა, 21. ონილი, 24. ლი, 25.რაუ.

### საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

№14-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.მფb4!

1. ..... მფe3 2. მფc3 მფf2 3. მფd2 მფg1 4. კc5X



თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com